საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭირებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 30 აგვისტო. 2019 წ. №170 (8836) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა ტკბილი სიზმარია“...

4-5

როგორ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?!



3

ნამეტანი

ხომ არ მოგდით, გურულო?!

ილია II:

ვაკეთოთ ერთი საქმე, ვიყოთ ერთად!

ქადაგებიდან მარიამობის დღესასწაულზე (28.08.2019)

საქართველოს დააკისრა უფალმა მძიმე ჯვარი, მაგრამ ამავე დროს ღმერთმა მოგვცა ჩვენ ძალა, რომ ეს მძიმე ჯვარი ვატაროთ. უნდა ვატაროთ ყველამ ერთად, ძალა უნდა მოვიკრიბოთ და ჩვენი ჯვარი გოლგოთაზე ერთად უნდა ავიტანოთ. ნუ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ჩვენ ვჯობივართ სხვას, ვისმეზე მეტი ვართ. ჩვენ ვართ ის, რაცა ვართ და ჩვენ ვმადლობთ ღმერთს ამ დიდი წყალობისათვის.

მე კიდევ ერთხელ მოგმართავთ ყველას: ვიყოთ ერთად, ვაკეთოთ ერთი საქმე. თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ თქვა: „მამული, ენა, სარწმუნოება. ჩვენ დავუმატეთ ამას, — ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. დიდება და მადლობა უფალს, რომ ღმერთმა მოგვცა ის გრძნობა, ის შეგრძნება, რომ პირველია ღმერთი, მეორეა სამშობლო და მესამეა ადამიანი.

ქართველ ადამიანს შეგნებული აქვს, რომ დაკისრებული მძიმე ჯვარი ჩვენმა ხალხმა უნდა აიტანოს გოლგოთაზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ გოლგოთით არ მთავრდება ჩვენი ჯვარის მტვირთველობა. გოლგოთას მოსდევს ჯვარცმა, მაგრამ ჯვარცმას მოსდევს აღდგომა.

როცა მოხდა ამაღლება უფლისა, მოციქულები როცა იკრიბებოდნენ ერთად და ჰქონდათ სერობა, ისინი ტოვებდნენ ერთ ცარიელ ადგილს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმ ცარიელ ადგილზე ბრძანდებოდა უფალი იესო ქრისტე. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ მოციქულები ტოვებდნენ უკვე ორ ადგილს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ერთზე ბრძანდებოდა მაცხოვარი და მეორეზე, — ღვთისმშობელი დედა.

ტროპარი, რომელიც დაიწერა მარიამობისთვის, იწყება შემდეგი სიტყვებით: „შობასა შინა ქალწულება დაიმარხე. მხატვრები, ხატმწერები ფიქრობდნენ, როგორ გამოესახათ ქალწულება ღვთისმშობლისა და ქრისტესშობის ხატი დაწერეს ასე: მაცხოვარი წევს, წინ კი არ უწევს ღვთისმშობელს, არამედ უკან. ღვთისშობელი გადმობრუნებულია, არ უყურებს მაცხოვარს. ეს ნიშნავს, რომ ღვთისმშობელმა შობასა შინა ქალწულება დაიმარხა.

შეგვწიოთ ღვთისმშობლის მადლი და წყალობა.

დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ დეკანოზ იოანე ოჩიგავას გამშვენებული ჯვრით. აქსიოს!

ღმერთი ჩვენთანაა, გიხაროდეთ.

მინდა ვთხოვო პრემიერ-მინისტრს, რომ მიულოცოს ეს დიდებული დღესასწაული ჩვენს ხალხს.

ეკონომიკა და ჩვენ

საქართველოს შესახებ ყველაფერი იციან!

8

ნიონოქსის საიდუმლო: რას მალავს კრემლი?

დაკარგა თუ არა ავთენტურობა ბათუმის „რვაფეხამ“?



11

„სწორედაც ასეთი ვინმეა ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი, 22 წლის ჭეელი კაცი“...

6

პრეზიდენტი ევროპაში

იხ. 2 გვ.

სალომე ზურაბიშვილი: რუსეთი ყოველდღიური პროვოკაციებით ცდილობს ჩვენს დამორჩილებას!

— ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, „მედეფის“ (MEDEF) საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

სალომე ზურაბიშვილმა თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს ევროპულ მომავალზე და ევროპული გზის მნიშვნელობაზე. პრეზიდენტის განმარტებით, საქართველოს ევროპაში დაბრუნების სურვილი ვერაფერმა შეცვალა. ამ კონტექსტში მან რუსეთის ეკონომიკური სანქციები ახსენა.

„რუსეთის ეკონომიკური სანქციები მიზნად ისახავდა ჩვენ მიერ არჩეული გზის შეცვლას, მაგრამ სანქციებმა არ გაამართლა. 2008 წლის ომი იყო რუსეთის მიერ ჩვენი სტრატეგიული, პროდასავლური ორიენტაციის შეცვლის მცდელობა. ვხედავთ, ეს მცდელობა წარუმატებელია. რუსეთი ყოველდღიური პროვოკაციებით ცდილობს ჩვენს დამორჩილებას, ის ჩვენს ნერვებზე თამაშობს და ცდილობს, მოგვაქციოს ისეთ საზღვრებში, რომელიც დაგვაკარგვინებს ჩვენს სამ მონაპოვარს: სტაბილურობას, დემოკრატიას და ევროპულ გზას. თუმცა, ის ამას ვერ მიაღწევს. ჩვენი მიზანდასახულობა ძლიერია. ჩვენი ევროპული მისწრაფება ჩვენივე ფესვებით აიხსნება. ჩვენ ევროპელობა სისხლში გვაქვს გამჯდარი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, გასულ წელს საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ქვეყნის მიზანია ევროკავშირში გაწევრიანება.

„ეს ევროპული მისწრაფება არ არის ახალი, ეს არის ჩვენი გააზრებული და ნათელი ამოცანა. საქართველო თავისი არსებობის დღიდან მისი იდენტობით ევროპულია — ეს არის კოლხეთი, სადაც იასონი და არგონავტები ოქროს საწმისს ეძებდნენ, ეს ჩანს ბერძნულ მითოლოგიაში. მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ეს არის ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც თავს მიიჩნევდა, როგორც ხიდს დასავლეთთან. ის გახლავთ ღვინის ცივილიზაციის აკვანი. ჩვენ გამოვედით პოსტსაბჭოთა სისტემიდან და არ დავუშვებ, რომ ვინმემ ან რამემ უკან დაგვაბრუნოს“, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

ევროპას არ აქვს სხვა გზა, გარდა წარმატებისა!

საქართველო არის ქვეყანა, სადაც შეუძლებელი არაფერია, მეუბნებოდნენ, რომ საქართველო არასდროს აირჩევდა „ფრანგ ქალს“, მან კი, აირჩია, როდესაც მეუბნებიან, რომ ევროკავშირი ოცნებაა, მე ვპასუხობ, რომ ევროპის ისტორია რეალობად ქცეული ოცნებებია, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში „მედეფის“ საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. სალომე ზურაბიშვილმა ფრანგ ხალხს საქართველოში ვიზიტისკენ მოუწოდა, რათა ნახონ როგორი ევროპელები არიან ქართველები.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ევროპას არ აქვს სხვა გზა, გარდა წარმატებისა.

„ჩინეთის აღზევებისა და ამერიკის ახალი პრობლემატიკიდან გამომდინარე, ევროპა კიდევ ერთხელ დგას ეგზისტენციალური არჩევანის წინაშე: გახდეს რეალური პოლიტიკური ძალა და დაიცვას თავისი ინტერესები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ევროპას სხვა გზა, გარდა წარმატებისა, არ აქვს. თითოეულ დიდ კრიზისს ყოველთვის მოსდევს პროგრესული ნაბიჯი და სწორედ ამას ველით ჩვენ, ქართველები“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა.

...მოუთმენლად ველოდები საქართველოში ვიზიტს!

პარიზში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრ ბრუნო ლე მერს შეხვდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები განიხილეს. საუბარი შეეხო ბიზნეს-კავშირების გაძლიერებას და ინვესტიციების წახალისებას. შეხვედრისას აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მეტი ფრანგული ინვესტიცია განხორციელდეს და მეტი ფრანგი ტურისტი ეწვიოს საქართველოს. როგორც ბრუნო ლე მერმა განაცხადა, ის მოუთმენლად ელოდება საქართველოში პირველ ვიზიტს.

„მქონდა პატივი, მემასპინძლა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისთვის, რომელიც ძალიან კარგი მეგობარია. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. მე გადავეცი პრეზიდენტს, რომ საფრანგეთი მზად არის, მეტი ინვესტიცია განახორციელოს საქართველოში. ვფიქრობ, უნდა გავაძლიეროთ ეკონომიკური თანამშრომლობა. ჩვენ გვაქვს ბევრი პროექტი, მაგალითად ტურიზმში. ვფიქრობ, მხოლოდ ტურიზმზე არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ტრანსპორტის მიმართულებით, ქალაქის განვითარებაზე, გარემოზე. მე ვფიქრობ, რომ ორ ქვეყანას შორის არის სივრცე ურთიერთობების გასაღრმავებლად„.

პრეზიდენტი პოლონეთში ჩადის

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, 31 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე პოლონეთის რესპუბლიკას სამუშაო ვიზიტით ეწვევა. სალომე ზურაბიშვილი მონაწილეობას მიიღებს მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებულ ცერემონიალში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები ბულგარეთის, ესტონეთისა და უკრაინის პრეზიდენტებთან. პრეზიდენტი ასევე სიტყვით გამოვა გამოფენის „50 ქალი საქართველოდან“ გახსნაზე და კონფერენციაზე „ქალთა როლი პოლიტიკაში“.

შვედეთის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარე მხარს გვიჭერს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე შვედეთის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარე ანდრეას ნორლენს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს შეეხო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღინიშნა, რომ შვედეთი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ფინანსური მხარდამჭერია, რისთვისაც მამუკა ბახტაძემ ანდრეასნორლენს მადლობა გადაუხადა.

ამასთან, შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, ჰუმანიტარული კუთხით არსებულ გამოწვევებს, განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანების გატაცების კონკრეტული ფაქტები. პრემიერ-მინისტრმა შვედეთის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარეს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გააცნო.

ამასთან, შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ისაუბრეს. ხაზი გაესვა, რომ ევროპასთან ინტეგრაცია ქართველი ხალხის ცივილიზაციურ არჩევანს წარმოადგენს და ეს არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის, არამედ ქართული საზოგადოების პოზიციაა.

მამუკა ბახტაძემ და ანდრეას ნორლენმა ისაუბრეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე. ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან კონტრიბუციას საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. განიხილეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და მისი პოზიტიური როლი, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და შვედეთის, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის თანაავტორის განსაკუთრებულ როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

არჩილ თალაკვაძე: ჩვენი ბუნებრივი ადგილი, ჩვენი ოჯახი არის ევროპა!

საქართველო რეგიონში დასავლეთის საიმედო პარტნიორია, ჩვენ ერთად ვქმნით მომენტს, როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირისა და ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ შვედეთის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარე ანდრეას ნორლენთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

„საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ჩვენი ხალხის ისტორიული და მტკიცე არჩევანი. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლების კურსი არის ძალიან სწორად და კარგად განსაზღვრული ამ მიმართულებით. საქართველოს აქვს კარგი პროგრესი ევროინტეგრაციის დღის წესრიგში. ჩვენ პასუხისმგებლობით ვასრულებთ იმ ამოცანებსა და სამოქმედო გეგმებს, რომელიც ამ თანამშრომლობის ფარგლებში გვაქვს დასახული“, — აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

მისი თქმით, საქართველო აძლიერებს თავის დემოკრატიას, იცავს ადამიანის უფლებებს, ატარებს რეფორმებს საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით, ახორციელებს თავისი თავდაცვის სისტემის მოდერნიზაციას და რაც მთავარია, მსოფლიოს არაერთ წერტილში საქართველო დგას პარტნიორებთან ერთად თავისუფლებისა და მშვიდობის დასაცავად.

ნამეტანი ხომ არ მოგდით, გურულო?!

ზურაბ გურული: გააღწევს საქართველო ამ მოჯადოებული წრიდან, სადაც ერიცა და ბერიც უიმედოდაა გარყვნილი და გაფარისევლებული?

გააღწევს საქართველო ამ მოჯადოებული წრიდან, სადაც ერიცა და ბერიც უიმედოდაა გარყვნილი და გაფარისევლებული? — ამ კითხვას სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში სვამს აშშ-ის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორი, ასევე მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური ანესთეზიოლოგიის პროფესორი ზურაბ გურული.

პოსტს „კომერსანტი“ უცვლელად გვთავაზობს:

ამერიკაში, მოსახლეობის საერთო განათლების დონე რომ აიღო, დიდად არ განსხვავდება საქართველოს მოსახლეობის განათლების დონისაგან. ერთი განსხვავებაა მხოლოდ, მნიშვნელოვანი განსხვავება — ამერიკაში სამოქალაქო შეგნება არის მაღალი თითქმის ყველა სპექტრის ამომრჩევლებში.

ლადო აფხაზავას რომ დასცინოდნენ მავანნი პედაგოგნი, რისი მასწავლებელია ეგო, სწორედ იმის მასწავლებელია აფხაზავა, რისი შეგნებაც ნოლის დონეზეა საქართველოს მოსახლეობის 99%-ში. სწორედ, ამიტომ შეიძლება საქართველოში ხალხისათვის ნებისმიერი სახის პოლიტიკური და სოციალური შეურაცხყოფის მიყენება დაუსჯელად.

სსრკ-დან მივიღეთ ეს მემკვიდრეობით, რადგან არავის სამშობლო არ იყო სსრკ, რუსების გარდა და ყველას ეკიდა. შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის კულტურის არმქონე მოსახლეობაში პოლიტიკური სპექტრიც არ იზრდება და არ ვითარდება და პოლიტიკური პლატფორმები მხოლოდ პრიმიტიული ინსტიქტების ეფექტურად აღძვრაზეა ორიენტირებული. და მიდის მერე შეჯიბრი უფასო ფულზე, პენსიების მომატებაზე, სახრავი ადგილების დარიგებაზე. სწორედ ამის შესაბამისად ვითარდება საქართველოში ყველა სოციალური სფერო, მედიაც და რელიგიაც. თუნდაც ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის რელიგიური სპექტრი პირდაპირი მემკვიდრეა სსრკ-ში გამოყვანილი გახრწნილი და კონფორმისტი რელიგიური ელიტისა, საზოგადოებას არ აშფოთებს, მაგრამ უკვირს ის ფაქტი, რომ საქართველოს დანიშნული პრეზიდენტის მრჩეველი კგბ-ს ოფიცერია. არადა, ამ ფაქტებს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.

მარკეტინგი თავისებურად უცნაურ ლოგიკურობაზეა აგებული. ამ სფეროს შემქმნელები ითვალისწინებენ, რომ ადამიანთა სამყაროში უმრავლესობა პრიმიტივია და მათ ინსტიქტებზე აგებენ თავიანთ წარმოებას. ზუსტად ასევეა პოლიტიკური და სოციალური მარკეტინგიც. იგებს ის, ვინც უფრო დიდი რაოდენობით ჰყიდის თავის საქონელს.

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ე.წ. ახალი დემოკრატიების ქვეყნებში დემოკრატია ვერ იმარჯვებს. ამის მშვენიერი მაგალითია თუნდაც ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებიც. ისტორიაწაშლილ და ისტორიადაკარგულ ქვეყნებში საზოგადოების იმ მცირერიცხოვანი ელიტის განვითარება ვერ მოხდა, რომლებსაც მასებისთვის გაუგებარ იდეალებზე უნდა აეგოთ სახელმწიფოს შექმნის პრინციპები.

ზუსტად ამიტომ არა აქვს მომავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც. შიშითა თუ ანგარებით შექმნილმა კონფორმისტთა თაობამ თავისი კომპლექსები საკუთარ მომავალ თაობებში გადაიტანა და გარყვნა.

გააღწევს საქართველო ამ მოჯადოებული წრიდან, სადაც ერიცა და ბერიც უიმედოდაა გარყვნილი და გაფარისევლებული?

 მე პირადად არა მაქვს ამაზე პასუხი. ერთადერთი იმედი არის იდეალისტ ახალგაზრდათა თაობის გამოზრდა; ოღონდ ისინი დამოუკიდებლად უნდა გაიზარდონ, თორემ უკვე წარყვნილი უფროსი თაობა მათ ვერაფერს ასწავლის.

ამიტომ უცხოეთმა უნდა გაზარდოს, მაგრამ დაბრუნდებიან კი უცხოეთიდან და შესწირავენ ერთხელ მიცემული ცხოვრების დათვლილ წლებს ფსევდორელიგიითა და ფსევდოპოლიტიკით გამოპრუტუნებულთა კეთილდღეობას?...

ძვირფასო მკითხველო!

არ შეშინდეთ! ამერიკელი ქართველის შემზარავ შეფასებებში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ჩვენი უძველესი და უმდიდრესი (სულიერ სიმდიდრეს ვგულისხმობ!) ერისა და ბერის ასე მიწასთან გასწორების უფლება არავის არა აქვს!

„ყველას ისე რომ მოექცე, როგორც ეკადრება, არავის არ ასცდება გამათრახება“! მათ შორის არც თქვენ, გურულო!..

რას იტყვით, „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველო?! უპასუხეთ ანესთეზიოლოგ პროფესორს, მაინც როგორ დააღწია თავი ამ ფსევდორელიგიითა და ფსევდოპოლიტიკით გამოპრუტუნებულთა ქვეყანას და „ცნობილი ექიმი“ როგორ იქცა დასავლეთში გამოზრდილი ქართველი ნაცებისა და ლიბერასტების თანამოაზრედ?!

„სრ“-ის რედაქცია

ექვსი ათასი ახალი სამუშაო ადგილი

მომდინარე და 2020 წლის განმავლობაში აჭარაში ექვსი ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, წლის ბოლომდე კი, რეგიონში საინვესტიციო პაკეტის მოცულობა სამ მილიარდ ლარს მიაღწევს, — ეს განცხადება აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ აჭარის მთავრობის გასვლით სხდომაზე გააკეთა, რომელიც გუშინ ქობულეთში გაიმართა.

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, მთავრობის მიერ ერთი წლის წინ გამოცემულმა განკარგულებამ საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, რითაც ინვესტორებს გარკვეული შეღავათები მიეცათ, 30 შეჩერებული პროექტის განახლების საფუძველი შექმნა. მისივე თქმით, დღეს რეგიონში შეჩერებული პროექტი არ არსებობს.

„ერთი წლის განმავლობაში მოვახერხეთ, ამოქმედებულიყო 30 გაჩერებული პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს ერთ მილიარდ ლარზე მეტს. ამის გარდა, ჩვენი ამბიციური გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე საინვესტიციო პორტფელი უნდა ავიდეს სამ მილიარდ ლარზე. ეს იქნება მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია რეგიონში. ჩვენ, ამ კონკრეტული საქმიანობიდან გამომდინარე, წელს და მომავალ წელს, უნდა შევქმნათ ექვსი ათასი ახალი სამუშაო ადგილი“, — განაცხადა თორნიკერიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ტურისტული სეზონის პრობლემებსაც შეეხო. მისი განცხადებით, ხელისუფლებას სრულად აქვს გააზრებული სიძნელეები, რაც ტურისტულ სეზონს მოჰყვა. რიჟვაძეს იმედი აქვს, რომ თანადაფინანსების მექანიზმი, რომელიც ხელისუფლებამ შესთავაზა მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეებს და რომელიც საბანკო დავალიანებების პროცენტების სუბსიდირებას ეხება, მნიშვნელოვნად დაეხმარება ტურიზმის სფეროს და ამ შეღავათით პირველ რიგში, ქობულეთელი მეწარმეები ისარგებლებენ. მთავრობის გასვლით სხდომას ქობულეთში სასტუმროების მეპატრონეებიც ესწრებიან.

კახეთის რეგიონში 3 ათასზე მეტი ტონა ყურძენი გადამუშავდა

29 აგვისტოს მონაცემებით, კახეთის რეგიონში 3,5 ათასი ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენია გადამუშავებული. აქედან 1,2 ათასი ტონა რქაწითელი, 900 ტონამდე საფერავი, 300 ტონამდე კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

რთველის საკოორდინაციო შტაბში უკვე 70 ღვინის მწარმოებელი კომპანია დარეგისტრირდა, რომლებიც რთველის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე ჩაერთვებიან. კახეთში რთველი აქტიურ ფაზაში მომავალი კვირიდან შევა. წელს კახეთის რეგიონში 200-250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან.

რთველი 2019-ის საკოორდინაციო შტაბი თელავში, სასტუმროში „ღვინის სასტუმრო თელავი“ (The Wine Hotel Telavi, ალაზნის ქ. 97) განთავსდა. სახელმწიფო უწყებებს, მეწარმეებსა და მევენახეებს შორის აქტიური კომუნიკაციის მიზნით, შტაბი 24 საათიან რეჟიმში მუშაობს. დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე — 1501.

გარემოს დაცვის საერთაშორისო ექსპერტი საქართველოში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით, საქართველოში, საერთაშორისო ექსპერტი, დოქტორი ირინა მაციახი იმყოფება. ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, გასვილითი შეხვედრა ზესტაფონში, სატყეო უბანში დაავადებული წაბლის კორომებში გაიმართა. შარშანდლიდან ზესტაფონის სატყეო უბნის წაბლნარ კორომებში სატყეო-პათოლოგიურ შესწავლა მიმდინარეობდა. განხორციელდა ლაბორატორიული კვლევებიც.

ექსპერტმა კვლევების შედეგები ადგილობრივ მოსახლეობას, თვითმმართველობის წარმომადგენლებს და დარგის სპეციალისტებს გააცნო. შეხვედრაზე სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სატყეო სააგენტოს გეგმებზეც იმსჯელეს.

მრავალფეროვანი ანალიტიკური მასალების გაცნობა, მართლაც, ღრმად დაფიქრების საშუალებას იძლევა. ისტორიის დავიწყებას, რასაც დიდი ილია ერის დაქცევისა და გადაგვარების წინაპირობად თვლიდა, არ შეიძლება დღესაც გვერდი ავუაროთ და მივყვეთ „ახალი ისტორიის“ გამოჭედვას წარსულის სიმართლის გარეშე. რას ვიზამთ, ყველა ადამიანი თავისებურად აზროვნებს და აქვს თავისი „შეუვალი“ ლოგიკა.

მე მაინც მომხრე ვარ ილიას ყველა დროსთან მორგებული აზრისა, რომელიც ჩადებულია შესანიშნავ და განუმეორებელ სენტენციაში – „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა!“ ცხადია, ისტორიის გაკვეთილებს ვერსად გავექცევით, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ. უახლესი ისტორიის აბსოლუტური ჭეშმარიტების გათვალისწინებით ჩემს აზრს შემოგთავაზებთ ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხზე. ეს ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

რა ელოდება მას, ჩვენს სასიკეთოდ გადაწყვეტა თუ გაყინვა?!

„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა ტკბილი სიზმარია“...

როგორ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?!



პოსტკომუნისტურ სივრცეში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო (თუმცა საკითხავია, ისინი რამდენად არიან სრულფასოვანი სახელმწიფოს ატრიბუტიკის მატარებლები?!...) **მოლდოვა, საქართველო და უკრაინა** (აქ შეიძლება აზერბაიჯანის ყარაბახიც მივაკუთვნოთ, მაგრამ ეს ცოტა განსხვავებული ფენომენია ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან შედარებით!..) აღმოჩნდნენ ტერიტორიული მთლიანობის საბოლოოდ დაშლის რეალური საფრთხის წინაშე. თუმცა თვით ამ სახელმწიფოთა მმართველი ელიტა „პანდორას ყუთში“ ბოლოს დამალული იმედის ერთგული რჩება და წარმოუდგენილად მიაჩნია მოვლენათა პესიმისტური სცენარით განვითარება.

დასავლეთმა, განსაკუთრებით კი ევროპამ, სადაც 39 განვითარებული ქვეყანაა (მეტ-ნაკლები ხარისხით) მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და 21-ე საუკუნის დასაწყისში უკვე შექმნა მსოფლიოს ათეული (თუ არა ასეული) ქვეყნებისგან განსხვავებული ცხოვრების სტანდარტული პირობები თავისი მოსახლეობისთვის ხალხის უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით.

მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები დღეს დაძაბულია. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ნატოსა და რუსეთს შორის. ისტორიას ახსოვს პირველი და მეორე მსოფლიო ომის მწვავე შედეგები. ამიტომაცაა საშიში ქვეყნებს შორის აგრესიული განწყობა. თუ კვლავ დატრიალდა ომის ჩარხი, შედეგები კატასტროფული იქნება. აქ უნებურად მახსენდება დიდი მხედართმთავრის **ლორდ არტურ ველინგტონის** სიტყვები. როდესაც მისმა ჯარმა ერთ-ერთი ქალაქის აღება გადაწყვიტა, მასთან მივიდა გენერალი და შესთავაზა ასეთი ტაქტიკა: **„ხუთი ადამიანის მსხვერპლი არის საჭირო ამ ქალაქის აღებისთვისო, რაზეც მხედართმთავარმა ირონიით უპასუხა: გენერალო, თქვენ ისურვებდით იმ ხუთეულიდან მესამე კაცად ყოფნას?“** ...ამით იმის თქმა მსურს, რომ დღეს არა მგონია ,ევროპის განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებიდან ვინმემ ისურვოს მსხვერპლის ფუნქციის აღება საკუთარ თავზე!

მივყვეთ ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიას. რუსეთისთვის, რომელსაც „დიდი რუსეთის“ ნოსტალგია დღეს აქვს, საკუთარი მიზნის რეალიზება სხვისი ტერიტორიების ანექსიას არ გამორიცხავს და მისი შეცვლის მოლოდინი, უბრალოდ, ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა. მით უფრო, როდესაც 2019 წლის 9 მაისს რუსეთის მეთაურმა წითელ მოედანზე, სამხედრო აღლუმზე ჯარებს კიდევ ერთხელ შეახსენა **„ისტორიული რუსეთის“** შესახებ, რაც ახალი ტერიტორიების ანექსიას(?) გულისხმობს. ამის საფუძველს აძლევს ის მრისხანე სამხედრო ძლიერება, რომელიც ორი ქართველისგან (სტალინი და ბერია) მიიღეს მემკვიდრეობით. დღეს სწორედ ამაზე დგას რუსეთი მთელი დემოკრატიული სამყაროს საპირწონედ.

რუსეთი, გათამამებული თავისი ცალმხრივი მიღწევებით შეიარაღებაში (ამას არაფერი საერთო არ გააჩნია თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან!) რატომღაც ყველაზე პრიორიტეტულად თვლის სამი პოსტკომუნისტური ქვეყნის: **მოლდოვის, საქართველოს, უკრაინის,** სეპარატისტების მხარდაჭერას. ამასთან, თეორიულადაც არ დაუშვებს თავისი ჯარების გაყვანას დნესტრისპირეთიდან, აფხაზეთიდან, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან, ყირიმიდან და დონბასიდან. და ბუნებრივია, არ დაუბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს მოლდოვას, საქართველოს და უკრაინას. აქვე უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს შეიძლება სწამდეს პუტინის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ პროცესების სხვაგვარი სცენარით განვითარება, რაც ასევე გულუბრყვილობად მიმაჩნია და ამ თვალსაზრისით არაფერს შეცვლის!

არ გამოვრიცხავ, ბევრი პოლიტიკოსი შეიძლება ფიქრობდეს ამ ქვეყნების დეოკუპაციის მიღწევას ისეთი ქმედებებით, როგორებიც **მშვიდობიანი დიპლომატიური მოლაპარაკებებია, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული მკაცრი სანქციებია, დასავლეთის ბანკებში რუსეთის პირველი პირისა და მისი თანამოაზრე ოლიგარქების აქტივების გაყინვაა, ან სხვა მსგავსი არასამხედრო მოქმედებებია**. ეს ყველაფერი ცრუმორწმუნეთა ილუზორული წარმოდგენაა. აქ, როდესაც ვამბობთ, „ქვეყნის პირველი პირი“, მხედველობაში გვაქვს რუსული სამხედრო-სამრწეველო კომპლექსი და მისი მმართველი ელიტური ჩინები, რომელთა ხელშიცაა დღევანდელი რუსეთის სამხედრო ტექნიკის სამართავი პულტები.

შემდეგ, ვინც თვლის, რომ განვითარებული ქვეყნების ლიდერები ყველაზე დაჩაგრული ამ სამი ქვეყნის ინტერესებისთვის საკუთარი ხალხის კეთილდღეობას რისკის ქვეშ დააყენებენ, ესეც ოცნების სფეროა და „ნეტარ არიან მორწმუნენი.“

მოდით ახლა წმინდა ფინანსური კუთხით შევხედოთ ამ „მარადიულ პრობლემას“. ხომ შეიძლება ვიღაცამ ჯინი ამოუშვას ბოთლიდან და მას ამოყვეს მწვანე ფერის მილიარდები და შესთავაზონ რუსებს ამ ტერიტორიების სანაცვლოდ. ესეც მტკნარი სიცრუე და ილუზიაა.

ჩვენ არ შეიძლება არ ვიფიქროთ იმაზე, რომ რუსეთი ისტორიულად ყოველთვის საკუთარი ტერიტორიების გაფართოებისთვის იბრძოდა. დღესაც, გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციის ეპოქაშიც, ეს მის მეხსიერებაშია ჩაკირული. მეხსიერების ამოშლის მოტივაციის ნაკლებად მჯერა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედი სხვა შედეგის მოლოდინის საშუალებას არ იძლევა. და, როდესაც ასეთი გარდუვალი მოცემულობის წინაშე ვდგავართ და სამი ათეული წელია ერთი ნაბიჯიც კი წინ არ გადადგმულა, ცხადზე უცხადესი ხდება „ისტორიული რუსეთის“ ტერიტორიების „განმათავისუფლებელი ლაშქრობისთვის“ სხვადასხვა უახლოესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის მზადყოფნა.

როგორც იტყვიან, **„ყველა გზა რომში მიდის“**. სამწუხაროდ, დღეს ბევრს სჯერა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომლითაც ისინი წაგართვეს, ანუ სამხედრო გზით. მათი აზრით, სხვა გზა, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ შევეცდებით ეს გზაც განვიხილოთ, რომელიც ბევრი პოლიტიკოსის აზრით, შეიძლება რეალობად იქცეს. აქ არ შეიძლება არ გავიხსენო სულმნათი თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერ საშუალებებში ხედავდა...

მაინც **როგორ შეიძლება ამ ტერიტორიების დაბრუნება ახლა ან მომავალში?** მოვლენების ანალიზის შედეგები ნებისმიერ მოცემულობაში კატასტროფულია. ეს აპრიორი შეუძლებელია, მიზეზი კი – ძალთა თანაფარდობაა. (ალბათ ამას გულისხმობდა პუტინი, როცა 1995 წელს დაგომისში ერთმნიშვნელოვნად განუცხადა შევარდნაძეს – **„თქვენ ხომ არ გეფიქრათ ნეიტრალიტეტზე, თქვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე?!“**. შეიძლება ამის აღიარება შინაგანი პროტესტიდან გამომდინარე, ძალიან მძიმე იყოს, მაგრამ რეალობასა და შესაძლებლობას შორის ზღვარი წაშლილია. აქ ვგულისმობთ იმ მთავარ ინგრედიენტებს, რომლებიც აუცილებელია გამარჯვების მისაღწევად. **ესენია, პირველ რიგში, ძლიერი შეიარაღებული ძალების დე ფაქტო არსებობა, ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპი და მიღწეული დონე, ჩვენი და ამ ქვეყნების სახელმწიფო აპარატის ამჟამინდელი მდგომარეობა, დღეს არსებული მოკავშირეების სიძლიერე. ყველა ამ მომენტის გათალისწინებით, ძალისმიერი მეთოდით პრობელემის გადაწყვეტა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.**

კიდევ ერთი მთავარი ინგრედიენტის შესახებ. ამ სახელმწიფოების საზოგადოებების პოლიტიკურ კლასებში დღეს არსებული განხეთქილებები, ათეულობით და მეტი პარტიების ჩამოყალიბება რადიკალურად განსხვავებული პროგრამებით, სახელმწიფოებრივად აზროვნების დეფიციტი უმრავლესობაში, განხეთქილებისა და ერთმანეთის დისკრედიტაციის არსებობა, ხელისუფლების სათავეებისკენ სწრაფვის მერკანტილისტური თვითმიზანი და ყოველივე აქედან გამომდინარე, ძლიერის დასუსტებისკენ ძალების მიმართვა, – აი, ის მთავარი ბარიერი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე, მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე რომ უშვებს წყალს. ეს კი ქმნის მყარ ნიადაგს წინააღმდეგობა გაუწიოს ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და სუსტი სახელმწიფოს ფორმირებას. ასეთ შემთხვევაში სახელწმიფო ძლიერება შიგნიდან იფიტება.

დიდი ქართველი პოეტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, დავით გურამიშვილი, ქვეყნის გადაგვარების, აოხრებისა და დაქცევის უმთავრეს მიზეზად ქართველთა ინტერესების დაპირისპირებასა და ერთიანობის უქონლობას ასახელებდა. გულისტკივილით გვიმხელს „დავითიანში“: **„მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი! თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!“** ამ სიტყვების დაწერიდან თითქმის სამი საუკუნე გადის, მაგრამ დღევანდელი საქართველოს შემყურე ვფიქრობთ, რომ ეს ძმათამკვლელი დაპირისპირება კვლავ მძლავრობს ჩვენში. ერთი ალთას იწევს, მეორე – ბალთას, აღარ არსებობს ერთიანი სული, ეს კი ღუპავს სახელმწიფოებრიობას.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვინც ასე იქცევა საკუთარ სამშობლოში, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ნუმირებული აგენტები არიან. დღევანდელი საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ფსიქოზემოქმედების უახლესი მიღწევების ეპოქაში სრულებითაც არ არის ეს აუცილებელი, არსებობს უამრავი „შემოვლითი გზები“ ასეთი ვერაგული მიზნების მისაღწევად. სწორედ აქ მარხია „ძაღლის თავი – შიდა მწვავე დავებით დაასუსტო შენი ქვეყანა და შენდაუნებურად იდეალური პარტნიორი გახდე შენი ყველაზე ძლიერი მტრისთვის.

მინდა, სწორად გამიგოთ: არავინ იფიქროს თითქოს დაგროვილი გარკვეული პოლიტოლოგიური გამოცდილება და დიდაქტიკური სურვილები მალაპარაკებს მავანთა ფსიქოწარმოდგენების შესაცვლელად.

არა, ბატონებო! **მე ასე ვხედავ დღეს უფსკრულის პირას მიმდგარ ჩემს ქვეყანას, რომელიც ორმაგად მიყვარს როგორც აფხაზეთიდან იძულებით წამოსულ კაცს და იმედის თვალით შევყურებ ჩემს სამ-**

შობლოს... იქნებ ეს ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანის სიცოცხლეს ბევრად აღემატება, გადავწყვიტოთ არა ერთმანეთის ჩაძირვით, ერთმანეთთან კონფრონტაციით, არამედ ერთად დგომით (ამის მაგალითად ბალტიისპირეთის ქვეყნები გამოდგება...), ერთიანი საქვეყნო მიზნით, თორემ ხელიდან გვეცლება ეს მშვენიერი საქართველო და ყოველდღე „შაგრენის ტყავივით“ პატარავდება. თუნდაც ბორდერიზაციის პრობლემა ავიღოთ, რომელსაც ასე ეფექტურად იყენებს თავისთვის ჩვენი მტერი. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, **ართმევენ იმას, ვინც სუსტია, თავის დაცვის ინსტიქტი დაძვეითეებული აძვს და „ციხის შიგნიდან გატყდომის“ პრინციპი სრული ძალით მუშაობს. ყველა ცალ-ცალკე დანაწილებული და მერე ისევ უსახურად შეკოწიწებული და თავის თავში ღრმად დარწმუნებული ჰომოსაპიენსები მიმართავენ ყოველგვარ ცივილიზებულ სახეს მოკლებულ გზებსა და ხერხებს პროტესტის გამოსახატავად და შედეგიც არ აყოვნებს. ეს არის უსუსურობის გამოვლინების ფორმა, რომელსაც არავითარი გამართლება არ გააჩნია, რანაირი „დემოკრატიის“ ნიღბითაც არ შეფუთო იგი. ეს არის საკუთარი თავისა და ძვეყნის შეურაცხყოფა და დაკნინება. შედეგს ყველა ვხედავთ...**

ყოველივე ზემოთ ნათქვმის შემდეგ ისევ დავსვამ ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ კითხვას: მაინც როდის შეიძლება დავიბრუნოთ ოკუპირებული ტერიტორიები? რა სტრატეგია და მიზანია ამისთვის საჭირო?

ეს ის პრობლემაა, რომელიც დღეს დგას სახელმწიფოს წინაშე. **ვფიქრობ ამ შემთხვევაში ემოციები და სიტყვახატულა სადღეგრძელოები არ გამოგვადგება, სიმართლე სიმართლეა და მას ვერსაით გაექცევი, უფრო სწორად, საკუთარ თავს ვერსად გაექცევი.**

ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია არსებობდეს, რადგან იმდენად შორს შევედით აბობოქრებულ ზღვაში, ძნელია გამოსავალი გზის მარტივად პოვნა. თუმცა, რამდენიც არ უნდა დამძრახოთ, მაინც პრაგმატულ გზას მხოლოდ ერთში ვხედავ და ეს არის ის, რომ **ეკონომიკურად (ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის ხერხემალი!) პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით შეუდარებლად ძლიერები გავხდეთ! სწორედ ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში, თუნდაც ქვეტექსტების სახით, შეიძლება ამოიკითხოთ პასუხები ამ კითხვაზე, დღევანდელი გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი, ძლიერი მოკავშირეების მოძებნა.**

აქ შეიძლება შემედაონ, თითქმის ყველა დასავლეთის ქვეყანა გვიჭერენ მხარს აშშ-ს მეთაურობით. მაგრამ მე მხედველობაში მაქვს საქართველოს პრობლემა, რამდენად ზის ამ ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებში, არა მხოლოდ სიტყვით, „შეშფოთებისა“ და „აღშფოთების“ კატეგორიებით, არამედ ჭეშმარიტად ძლიერი მოკავშირეები არიან თუ არა ისინი.

აქვე მინდა აღვნიშნო: რომ არა პოლიტიკური მოტივაციით დაჩქარებულად გაწევრიანება ბალტიის ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში, რუსეთი დიდი ხნის წინათ დაასრულებდა თავის ჰიბრიდულ ოპერაციებს მათი ოკუპაციისთვის.

თანამედროვე ისრაელის ბრძოლის სიმბოლო, ამ ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ონელი **მოშე დაიანი** ამბობდა: **„თუ მშვიდობა გინდა, მეგობრებს კი არა, მტრებს უნდა ესაუბრო!“**

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ სენტენციის სიბრძნეს. მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: **რუსეთთან საჭირო საუბარი, მოლაპარაკებების მაგიდასთან შეხვედრა ყოველგვარი წითელი ხაზისა და ნულოვანი წინაპირობების გარეშე.** ეს არის ერთ-ერთი ალტერნატიული გზა პრობლემის გადაწყვეტისა, ანუ ტერიტორიების დაბრუნებისა. თუ გვინდა აღდგეს ურთიერთობა აფხაზებსა და ოსებთან, ყველაფრის მიუხედავად, ამ დიდ ქვეყანასთან მოგვიწევს დიალოგი. პოლიტიკას არ უყვარს ქაოტურობა, მოუწესრიგებლობა, მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობა, საჭიროა ალტერნატიული ყველა გზის მოსინჯვა, რომელიც გამარჯვებამდე მიგვიყვანს. მტრის შეურაცხმყოფელი თეზების სროლა საკუთარი სახლიდან ადვილია, მაგრამ ამან გაალღო გაყინული კონფლიქტი? ყველა დიდი ქვეყნის ლიდერი სიფრთხილესა და საერთო ენის გამონახვისკენ მოგვიწოდებს.

ჩემი ასეთი მსჯელობა მავანს შეიძლება ძველის გადამღერებად მოეჩვენოს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე **ახალი, კარგად დავიწყებული ძველია.!**

* * *

ახლა, ჩემი აზრით, უპრიანი იქნება, კაცობრიობის მიერ გავლილი მწარე გაკვეთილებიც გავიხსენოთ და ობიექტურად შევაფასოთ, წარსულის გადასახედიდან, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ისტორიული მაგალითები. ასე, **1871 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვების შემდეგ გერმანიამ საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია წაართვა. ფრანგებმა ეს პროვინციები მხოლოდ 45 წლის შემდეგ დაიბრუნეს. და სხვათა შორის, სამხედრო ძალის გამოყენებით, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად, სამი უმძლავრესი იმპერიის — დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და აშშ-ის დახმარებით.** ოცი წლის შემდეგ ისევ მეორდება ისტორია, მაგრამ საფრანგეთი ხუთ წელიწადში იბრუნებს ამ ტერიტორიებს, ძალით, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად, ისევ იმ დროის უმძლავრესი მოკაკვშირეების — დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის და სსრკ-ის დახმარებით. შემდეგ, 1949 წელს, გერმანია გაიყო 2 ნაწილად აღმოსავლეთად და დასავლეთად. შეეძლო კი მაშინ დასავლეთ გერმანიას სსრკ-თვის აღმოსავლეთ გერმანიის მოგება? — არა! თუმცა 40 წელზე მეტი ხნის შემდეგ შეძლო (რაღაც ჰამბურგერის ფასად დავათმობინეთ სსრკ-ს აღმოსავლეთ გერმანია, თუმცა მზად ვიყავით 10-ჯერ და 100-ჯერ მეტი თანხის გადასახდელადო, იტყვის **ჰელმუტ კოლი,** გერმანიის კანცლერი). ამის მთავარი მიზეზი იყო „ცივ“ ომში სსრკ-ს დამარცხება. გერმანიას მხარს უჭერდა აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მოვხაზოთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ძირითადი კონტურები „სტატუს კვოს“ გადასახედიდან.

უპირველეს ყოვლისა, ეს შეიძლება და უნდა იყოს სტრატეგიული თმენა (უკვე 27 წელიწადია ველოდებით და უშედეგოდ!) კონკრეტული ციფრის დასახელება შეუძლებელიცაა და სარისკოც.

მეორე და უმთავრესი, სხვა შეიარაღებული ძალები, სხვა ეკონომიკა და სხვა სახელმწიფო. აქ საკმარისია მოვიყვანოთ ისრაელის მაგალითი, სადაც ერი მთლიანად დგას ერთ პლატფორმაზე, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს აქტიურ ფორმირებასა და წინსვლას ან მის უსაფრთხოებას, ეს არის რეალური მაგალითი იმისა, არსებული რესურსებით როგორ ააშენო სახლემწიფო, რომელიც რეგიონში არავის არ უთმობს პირველობას!..

მესამე, ომში გამარჯვების მოპოვება, მნიშვნელობა არ აქვს „ცივი“ იქნება თუ „ჰიბრიდული“. ამ შემთხვევაში კარგად ჩავიხედოთ დიდი კონსტანტინეს ნააზრევში, რომელიც სრულად ეხმიანება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, — „ქვეყანას, რომელსაც ამდენი მოღალატე ჰყავს თავისი ქვეყნის შიგნით, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს!“

მეოთხე, ზესახელმწიფოების უმძლავრეს მოკავშირეებად გახდომა და მათი ყოველმხრივი დახმარება. ინტერესთა თანხვედრის შემთხვევაში მტრის წინაშე კომპრომისზე არ წასვლა და პრინციპული პოზიციის შენარჩუნება.

მეხუთე, ამჟამად გამარჯვებული მტრის თანხმობა. ამის მიღწევა ძალიან რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. ის უნდა დარწმუნდეს, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილია და რეალური პროცესების გათვალისწინება გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩვენს შემთხვევაში ვხედავთ, რომ მტერი სუსტებზე ნადირობს, რომელთაც თავის დაცვა უჭირს, მოკავშირეები შეშფოთებითა და აღშფოთებით შემოიფარგლებიან და რეალურ დახმარებაზე არ მიდიან!

ისევ ისტორიას მოვუხმოთ, აგრესორი არასდროს არ ესხმოდა თავს სამხედრო ალიანსის წევრებს. აქედან აშკარად იკვეთება „ხსნის გზა“ — თანამედროვე მსოფლიოში პატარა ქვეყნების უსაფრთხოების ყველაზე მაღალი დონის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა დღევანდელი მოცემულობით ნატოში გაწევრებაა. სწორედ აქ იკვეთება ქვეყანაში შინაგანი წინააღმდეგობის კიდევ ერთი მომენტი, როცა (თუ არ გავითვალისწინებთ ძველი რეფერენდუმის შედეგებს) ქვეყანაში, მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვალებადობიდან გამომიდნარე, ერთიანი აზრი ნამდვილად არ არის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეს აგრესორის პროპაგანდის შედეგია თუ უფრო უარესის მოლოდინი, მათ ამისი საფუძველი ნამდვილად გააჩნიათ. მაგრამ აქ მთავარია მაინც ალიანსის წევრი ქვეყნების მხრიდან რუსული აგრესიის იგნორირება და შიშის სინდრომის დაძლევა. წინააღმდეგ შემთვევაში, პროცესი უსაშველოდ გაიწელება და რა შედეგი დადგება უახლოეს მომავალში, ძნელი წარმოსადგენია...

როდესაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შენი ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია და დამამშვიდებელი პროგნოზიც არ არსებობს, აქ უკვე ჩნდება ძიების სურვილი უკეთესი მომავლისთვის. ჯერჯერობით გვირაბის ბოლოს შუქი არ ჩანს. ჩვენ კი ისევ ვცდილობთ „დიდი კაცის“ სინდრომი საკუთარ თავში ვეძიოთ და ქვეყნის ბედზე უტიფრად ვიმარჩიელოთ. ხომ დაგვმოძღვრა დიდმა ილიამ თავის დროზე — **„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა, ტკბილი სიზმარიაო“.** ჩვენ კი როდის გარდავიქმნებით ქვეყნის ნამდვილ ჭირისუფლად. დრო კი არ ითმენს, სამშობლოს შველა უნდა, თორემ, იოანე ოქროპირის ბრძნული გამონათქვამისა არ იყოს **„...დაჭაობდა ქვეყანა, შეწყდა რებაი წყალთა მაცოცხლებელთა.“**



მურმან კვარაცხელია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

უკრაინის რადაში ზელენსკის ფრაქციის თავმჯდომარე დავით არახამია გახდა

ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის რადას სპიკერის მოვალეობის შემსრულებელმა, დიმიტრი რაზუმკოვმა გაავრცელა. მისი თქმით, პარტია „ხალხის მსახური“ მეცხრე მოწვევის რადაში უმრავლესობაში იქნება და 254 დეპუტატი ეყოლება, ფრაქციის თავმჯდომარე კი დავით არახამია იქნება. არახამია სოჭშია დაბადებული და ბავშვობაში გაგრაში ცხოვრობდა. 1992 წელს ის უკრაინაში გადავიდა საცხოვრებლად.

დევიდ ბრაუნის ფსევდონიმით ცნობილი არახამია არის საინფორმაციო ტექნოლოგიური კომპანია „თემფლეით მონსთერის“ დამფუძნებელი. ის ასევე გახლავთ მოხალისეობრივი პროექტის, „სახალხო ფრონტის“ იდეის ავტორი, რომლის მონაწილეებიც დონბასში მებრძოლ უკრაინელ სამხედროებს ეხმარებიან.

2019 წლის ივლისში ზელენსკიმ არახამია სახელმწიფო კონცერნ „უკრობორნპრომის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშნა.

რაც შეეხება ახალი მოწვევის რადაში ოპოზიციურ ფრაქციებს, ასეთი სულ ხუთი იქნება, მათ შორის იულია ტიმოშენკოს „ბატკივშინა“, რომლის შემადგენლობაშიც 25 დეპუტატია. ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური ფრაქცია პრორუსულ პარტიას „ოპოზიური პლატფორმა — სიცოცხლისთვის“ ჰყავს და მის შემადგენლობაში 44 დეპუტატია.

თამარ ხულორდავა: მიუღებელია ოპოზიციის ბრალდება!

რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ვითარება გვაქვს. საოკუპაციო ხაზზე მუდმივად გარკვეულ პროვოკაციები ხდება. იცით, რომ ამჟამად, ერთ-ერთი ასეთი ინციდენტია სახეზე, ცოტა ხნის წინ, რვა მოქალაქე იყო გატაცებული, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

„ამ საკითხებზე გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე. ჩვენთვის მთავარია საზოგადოების უსაფრთხოება. საქართველომ იცის, რა არის პროვოკაციებზე წამოგების ფასი, ეს კინო ნანახი გვაქვს. ყველა კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ იმას, თუ რა შედეგებთან შეიძლება, საქმე გვქონდეს თუ იმ პროვოკაციებს წამოვეგებით, რასაც რუსეთის მხრიდან ადგილი მუდმივად აქვს.



მაიაკოვსკების ოჯახი. ძუთაისი. 1905 წ.

„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისყურო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად გადმოაენა ვყრამ გოგიაშვილმა

1. რთულბედიღბლიანი პოეტის პირუთვნელი ბიოგრაფია

ვლადიმერ მაიაკოვსკი (19.VII.1893 – 14.V.1930) ოდიოზური, არაერთმნიშვნელოვანი და, თავისი ეპოქის კულტურაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით, სწორუპოვარი პიროვნებაა. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა, იოსებ სტალინის თქმით, ჩვენი ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა, მომავალ თაობებს უამრავი უჩვეულო, მაგრამ უაღრესად პატიოსანი და გულწრფელი ლექსი გვაჩუქა. რაზეც არ უნდა დაეწერა – სიყვარულსა თუ ბურჟუაზიაზე, ყოველთვის ერთნაირი მგზნებარებით წერდა.

„ფენიქსის“ (დონის როსტოვი) გამოცემული კრებული მაიაკოვსკის გენიალურობის კვინტესენციაა. ბევრი რამ ზოგისთვის იქნებ ჯერ კიდევ ბავშვობიდან ცნობილია, მაგრამ ბევრსაც, ალბათ, ამ კრებულიდან შეიტყობს მკითხველი, თანაც სულ ახალი კუთხით. მაიაკოვსკის სამშობლო საქართველოა (**„კავკასიაში ფეხი დავდგი თუ არა, გამახსენდა ჩემი ქართველობა“...**), კერძოდ, სოფელი ბაღდათი ქუთაისთან. მამამისი წარმოშობით აზნაური იყო, თუმცა მთელი ცხოვრება სატყეოს უფროსად გაატარა. 1902 წელს მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიის პირველ კლასში წავიდა. 1906 წელს მამის სიკვდილის შემდგომ, დედასთან და ორ დასთან ერთად მოსკოვში გადადის, სადაც ერთი წელიწადი მე-5 კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. მამის სიკვდილის შემდგომი ხანა მაიაკოვსკისთვის კატასტროფულად უფულობის ხანაა და 1908 წელს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მომავალი პოეტი მე-5 კლასიდან გარიცხეს.

დედაქალაქში გადასვლამ ფრიად დიდი მნიშვნელობა იქონია მაიაკოვსკის გონებაზე. მოსკოვში ის ეცნობა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს, კითხულობს მარქსისტულ ლიტერატურას, 1908 წლის დამდეგს, როგორც უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრს, აპატიმრებენ, 11 თვე ბუტირსკის ციხეში გაატარა, საიდანაც 1919 წლის იანვარში ათავისუფლებენ როგორც არასრულწლოვანს. ციხეში მაიაკოვსკი პირველ ნაბიჯებს დგამს პოეზიაში. სამწუხაროდ, ისტორიკოსთათვის და პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემელთათვის იმდროინდელი ლექსები არ შემორჩენილა (ლექსებიანი რვეული ციხიდან გამოსვლისას ზედამხედველმა ჩამოართვა). თვითონ პოეტი ირონიულად ლაპარაკობდა იმ ლექსებზე თავის ავტობიოგრაფიაში: კიდევ კარგი, ჩამომართვეს და დაიკარგა, თორემ დავბეჭდავდი და თავს მოვიჭრიდიო. თუმცა, მაიაკოვსკი იმ პირველ ციხის ლექსებს მიიჩნევდა თავისი შემოქმედების დასაწყისად.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ იგი უარს ამბობს პარტიულ სამუშაოზე, რათა **„სოციალისტური ხელოვნება ეკეთებინა“**. 1911 წელს მაიაკოვსკი შედის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც ეცნობა დ. ბურლიუკს, ფუტურისტული ჯგუფის **„გილეის“** ორგანიზატოროს, რომელიც მრავალწლიანი მეგობრობით უკავშირდება პოეტს. იგი დღენიადაგ არწმუნებდა ვ. მაიაკოვსკის, რომ „გენიალური პოეტი“ იყო და მალე ამას მთელი მსოფლიო აღიარებდა. 1914 წელს მაიაკოვსკი ბურლიუკთან ერთად საჯარო გამოსვლებისთვის გამორიცხეს სასწავლებლიდან.

1912 წლის დეკემბერში შედგა პოეტ მაიაკოვსკის ოფიციალური დებიუტი. პოეტის ლექსები **„ღამე“** და **„დილა“** დაიბეჭდა ალმანახში – **„სილაქე საზოგადოებრივ გემოვნებას“**. ალმანახის იმავე ნომერში გამოქვეყნდა რუსი კუბოფუტურისტების მანიფესტი, რომელიც დაწერილი იყო დ. ბურლიუკის, ა. კრუჩენიხის, ვ. მაიაკოვსკის და ვ. ხლებნიკოვის მიერ. მანიფესტი ცნობილი გახდა თავისი სკანდალურ-ნიჰილისტური დამოკიდებულებით როგორც იმჟამინდელი, ისე წარსული რუსული ლიტერატურისადმი დამოკიდებულებით: **„გადავყაროთ პუშკინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი და სხვანი თანამედროვეობის გემიდან. (...) ყველას უკლებლივ, ამ მაქსიმ გორკეებს, კუპრინებს, ბლოკებს, სოლოგუბებს, რემიზოვებს, ავერჩენკოებს, ჩორნებს, კუზმინებს, ბუნინებს და სხვათა და სხვათ, მხოლოდ აგარაკი უნდათ სადმე მდინარეზე. ასეთ საჩუქარს ბედ-იღბალი თერძ-მკერავთ სძღვნის“.**

თუმცაღა დეკლარაციის საწინააღმდეგოდ მაიაკოვსკი დიდ პატივს მიაგებდა გოგოლს, დოსტოევსკის, ბლოკს და სხვა მწერალთ, რომელთაც ღრმა ზეგავლენა მოახდინეს მასზე. ფრიად წარმატებული გამოდგა მაიაკოვსკისთვის 1913 წელი, როცა მან ცალკე კრებულად იხილა თავისი ლექსები – **„მე“** (აქვე უნდა აღინიშნოს, მაიაკოვსკის რუსული ლექსის უჩვეულობა ბევრი თვალსაზრისით განპირობებულია ქართული ლექსის პოეტიკის ქვეცნობიერი ზეგავლენით) იმავე წელს დაიწერა და სცენაზე დაიდგა ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, თვითონ კი სხვა ფუტურისტ პოეტებთან ერთად თითქმის მთელი რუსეთი მოიარა.

1918 წლის 17 დეკემბერს შედგა პოეტის პირველი გამოსვლა მატროსოვის სცენაზე. მან „მარცხენა მარში“ (მატროსებისთვის) წაიკითხა.

1919 წლის მარტში იწყება მაიაკოვსკის აქტიური თანამშრომლობა – РОСТА-სთან (რუსეთის ტელეგრაფიული სააგენტო). იგი აფორმებდა РОСТА-ს სააგიტაციო-სატირულ პლაკატებს, ცნობილთ როგორც „ОКНА РОСТА“ („როსტას ფანჯრები“).

1919 წელსვე გამოდის პოეტის თხზულებათა კრებული – **„ყველაფერი შეთხზული ვლადიმერ მაიაკოვსკის მიერ. 1909-1919 წ.წ.“**

1910 წელს მაიაკოვსკი ეგრეთ წოდებულ „მარცხენა ხელოვნებას“ მიაპყრობს მზერას. იბეჭდება „ფუტურისტების გაზეთსა“ და „კომუნის ხელოვნებაში“.

მაიაკოვსკის ფუტურიზმს თავიდანვე და პოეტის სიცოცხლის დასასრულამდე რომანტიკული და ტრაგიკული ხასიათი ჰქონდა. მაიაკოვსკი საბჭოთა დროშიც ფუტურისტად რჩებოდა, თუმცაღა ახალი თვისებებით: „კომფუტად ანუ კომუნისტურ ფუტურისტად. ის ხელმძღვანელობდა ლეფ-ს (ხელოვნების მემარცხენე ფრონტს).

1922-1924 წლებში მაიაკოვსკი საზღვარგარეთ მოგზაურობს. მოინახულა ლატვია, საფრანგეთი, გერმანია. წერს ნარკვევებსა და ლექსებს ევროპულ შთაბეჭდილებებზე: **„როგორ მუშაობს რესპუბლიკა დემოკრატიული?“ „პარიზი“** (გასაუბრება ეიფელის კოშკთან) და სხვანი. 1925 წელს მაიაკოვსკი მოგზაურობს ამერიკაში (**„ჩემი აღმოჩენა ამერიკისა“**). 1925-1928 წლებში პოეტი გზაზეა გაკრული: დადის საბჭოთა კავშირში, გამოდის სულ სხვადასხვა დონის მსმენელთა წინაშე.

1930 წლის თებერვალში მაიაკოვსკი შედის რაპპ-ში (პროლეტარულ მწერალთა რუსეთის ასოციაცია). პოეტის ეს ნაბიჯი გაუგებარი და გამგუნებული დარჩა მეგობართაგან. საზოგადოების მხრიდან კიცხვასა და გმობას აღრმავებდა პირადი დრამა. მაიაკოვსკის უკვე ჯიუტად ეუბნებოდნენ უარს უცხოეთში წასვლაზე, სადაც ის მავან ქალს უნდა შეხვედროდა (ლექსი **„წერილი ტატიანა იაკოვლევას“**, 1928), რომელსაც ცოლობას უპირებდა. ამ მოვლენებმა, როგორც ჩანს, გადააწყვეტინეს მაიაკოვსკის თავის მოკვლა. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული საამისო ფონი შეუქმნეს. სინამდვილეში რა მოხდა, რა იყო პოეტის თვითმკვლელობის უტყუარი მიზეზი, ალბათ, ძნელად რომ ოდესმე გაცხადდეს.

2. მაიაკოვსკი თავის ცხოვრებასა და თავის თავზე („მე თვითონ“ – ავტობიოგრაფიის მიხედვით)

პაპით კაზაკი ვარ, ზაპოროჟიელი სეჩევიკი, წარმოშობით კი – ქართველი.

* * *

მამეცადინეგდნენ დედაჩემი და ღვიძლი თუ გარე ბიძაშვილ-მამიდაშვილი გოგოები. არითმეტიკა არ მეპრიანებოდა, ბიჭებისთვის დასარიგებელ ვაშლებსა და მსხლებს ვითვლიდით. მე მუდამ ბლომად მაძლევდნენ და ვიდექი და უანგარიშოდ ვარიგებდი. კავკასიაში ხილი თავზე საყრელია, კითხვა დიდი კმაყოფილებით ვისწავლე.

* * *

გაღდათიდან ქუთაისში გადავედით, გამოცდა გიმნაზიაში ჩავაბარე. მღვდელმა მკითხა, რა არისო „ოკო“. სამი ოყა-მეთქი (ქართულად აგრეა).

თავაზიანმა გამომცდელებმა გაიცინეს და ამიხსნეს, რომ „ოკო“ თვალია ძველებურად, ეკლესიურ-სლავურად. ამის გამო კინაღამ ჩავიჭერი. ამიტომ ეგრევე შევიძულე ყოველივე ძველი, ყოველივე ეკლესიური და ყოველივე სლავური. შესაძლოა, სწორედ აქედან წამოვიდა ჩემი ფუტურიზმიც, ჩემი ათეიზმიც, ჩემი ინტერნაციონალიზმიც.

* * *

ჩემთვის რევოლუცია ასე დაიწყო: ჩემი მეგობარი, მღვდლის მზარეული ისიდორე სიხარულისგან ფეხშიშველი ავარდა ქუჩაზე – გენერალი ალიხანოვი მოკლესო.

* * *

ეს იყო რევოლუცია, ეს იყო ლექსებით. ლექსები და რევოლუცია როგორღაც გამიერთიანდნენ თავში.

* * *

ჩემი თავი სოციალ-დემოკრატად მივიჩნიე, მამაჩემის ბერდანას ხელი დავავლე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტში წავიღე.

* * *

მესამე გიმნაზია გამოსცემდა იატაკქვეშა პატარა ჟურნალს, რომელსაც „Порыв“ (**„სწრაფვა“**) ერქვა. ვიწყინე, სხვები წერენ, მე რა ღმერთი გამიწყრა-მეთქი?! და ავჭრიჭინდი. დაუჯერებლად რევოლუციური და ისეთივე ხარისხის უგვანო გამომივიდა. ამჟამინდელი კირილოვისნაირი, არც ერთი სტრიქონი აღარ მახსოვს. დავწერე მეორე, უფრო ლირიკული გამოვიდა, რაკიღა გულის ასეთ მდგომარეობას ჩემს **„სოციალისტურ ღირსებასთან“** შეუთავსებლად მივიჩნევდი, საერთოდ დავაგდე კალამი.

* * *

მოკვდა მამაჩემი. ქინძისთავი იჩხვლიტა (ქაღალდებს კინძავდა), სისხლი მოეწამლა, იმის მერე ქინძისთავს ვეღარ ვიტან, კეთილდღეობა დამთავრდა. მამის სიკვდილის შემდეგ ოჯახში 3 მანეთი გვაქვს.

* * *

1908 წლის 29 მარტს ჩასაფრებულ რაზმს გადავეყარე ქართულ დასახლებაში. ჩვენი იატაკქვეშა სტამბა. ლამის შევჭამე მისამართებიანი და ყდიანი ბლოკნოტი. ოხრანკა. სუშჩევის ნაწილი. გამომძიებელი. ვოლტანოვსკიმ (სჩანს, თავი ეშმაკი ეგონა) მაიძულა კარნახით წერა: პროკლამაციების წერას მაბრალებდნენ. უიმედოდ ვასხვაფერებდი კარნახს. ვწერდი: **„სოციალდემეკრატიული“**. მგონი, გავაცურე. თავდებით გამომიშვეს.

* * *

წავიკითხე ყოველივე უახლესი სიმბოლისტები – ბელი, ბალმონტი.ფორმალურმა სიახლემ მომიცვა. მაგრამ მეუცხოვა. თემები, სახეები საჩემო ვერ არის. ვცადე, მე თვითონ დამეწერა ისევე კარგად, ოღონდ სხვა რამეზე. თურმე ისევე სხვა რამეზე არ შეიძლება. გამოვიდა გაცვეთილი და რევოლუციურად თვალცრემლიანი:

ოქროს იცვამდნენ მწვანე ტყეები,
დასთამაშებდა მზე ეკლესიებს,
იკარგებოდნენ თვეები დღეები
და ყველა ერთად მე შემესია.

ასეთი რამერუმეთი მთელი რვეული ავავსე. მადლობა ზედამხედველთ – კიდევ კარგი, ციხიდან გამოსვლისას ჩამომართვეს, თორემ, ალბათ, დავბეჭდავდი!

* * *

მე ვარ პოეტი, და ამით ვარ საგულისყურო. სწორედ ამაზე ვწერ.

* * *

ბაქომ ძალიან მომაწონა თავი. კოშკურები, ცისტერნები, საუკეთესო სუნამო – ნავთობი, იქით დუზი ტრამალი.

* * *

კაზმულსიტყვაობას სრულებით არ ვაღიარებდი. ფილოსოფია, ჰეგელი. ბუნებისმეტყველება. მაგრამ უმთავრესად მაინც მარქსიზმი. არ იყო არცრა ისეთი რამ ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც მარქსის წინათქმაზე მეტად გამიტაცებდა.

* * *

დავამთავრე რა თანამედროვეთა კითხვა, თავს დავესხი კლასიკოსთ. ბაირონი, შექსპირი, ტოლსტოი. ბოლო წიგნი „ანა კარენინა“ იყო. ბოლომდე ვერ წავიკითხე, შუაღამისას „ბარგიბარხანიანად ქალაქში გამიძახეს“. ასე რომ, არ ვიცი, რით დაუმთავრდათ იმათ, იქ, კარენინებს ამბავი.

* * *

ისინი, ვინც მე წავიკითხე – ეგრეთ წოდებული დიდები არიან, სულაც ძნელი არ ჩანს იმათზე უკეთესად წერა.

* * *

მე თავხედი ვარ, რომლისთვისაც უდიდესი სიამოვნებაა თავზე ყვითელი ზედატანის ჩამოცმა და დუნდგო ხალხში შეჭრა, რომელი ხალხიც კეთილშობილურად უფრთხილდება დარბაისული სერთუკების, ფრაკებისა და პიჯაკების ქვეშ მოქცეულ თავმდაბლობასა და ზრდილობას.

მე ციინიკოსი ვარ, რომლის ერთი შეხედვაც კი შემთვალიერებელთა სამოსელზე კარგა ხანს ტოვებს დაახლოებით საღესერტო თეფშისოდენა ქონის ლაქებს.

მე მეფორნე ვარ, რომლის მარტო შეშვებითაც კი სასტუმრო ოთახში, ჰაერს, როგორც რომ მძიმე რამ ნაჯახები, ისე ჩამოეფარებიან ამ ხელობის სალონურ დიალექტიკას მცირედ შეგუებული ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები.

მე რეკლამისტი ვარ, რომელიც ყოველდღიურად აღგბნებული ვათვალიერებ თითოეულ გაზეთს იმ იმედით, რომ ჩემს სახელს ვიპოვი...

(...) სწორედაც ასეთი ვინმეა ვლადიმერ ვლადიმერის ძე მაიაკოვსკი, 22 წლის ჯეელი კაცი.

(გაგრძელება იქნება)

არის თუ არა პედაგოგთა ხელფასების ზრდა განათლების რეფორმის პროგრესი?

ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგთა ანაზღაურება იზრდება. სიახლე განათლების მინისტრმა გააცნო საზოგადოებას. დანამატებს მიიღებენ სტატუსის მქონე მასწავლებლები – უფროსი, წამყვანი და მენტორი პედაგოგები. მათი ანაზღაურება ეტაპობრივად გაიზრდება და 2022 წლისთვის, მაგალითად, მენტორი მასწავლებლების ანაზღაურება თითქმის 2500 ლარს მიაღწევს.

„მასწავლებლის პროფესია გახდება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და დაფასებული“, – თქვა მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა.** პედაგოგებთან 27 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად ისაუბრა განათლების რეფორმის ახალ ეტაპზე.

„2019 წლის ოქტომბრის დასაწყისში ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი და აქვს მინიმუმ 15 საგაკვეთილო საათი, ანაზღაურება გაეზრდება 150 ლარით. უფროსი მასწავლებელი, სტატუსის გარდა, მიიღებს საათობრივ დანამატთან ერთად 1011 ლარს, წამყვანი მასწავლებელი – 1435 ლარს, მენტორი მასწავლებელი – 1745 ლარს. მეტი საგაკვეთილო საათის შემთხვევაში ანაზღაურება კიდევ უფრო მეტი იქნება“, – თქვა მინისტრმა.

პედაგოგებს, რომლებსაც 15 საგაკვეთილო საათზე ნაკლები აქვთ, საშუალოდ 100 ლარით გაეზრდებათ ანაზღაურება.

პრემიერ-მინისტრმა კი დაამატა, რომ პედაგოგების გარდა ხელფასები გაეზრდებათ რესურსცენტრების თანამშრომლებს და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასევე ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ პერსონალს და სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს. მისი თქმით, ზრდა ამით არ დასრულდება.

როგორ მოიმატებს პედაგოგების ხელფასები შემდგომ წლებში?

2019 წლის ივლისის მდგომარეობით, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებულია 38 312 პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი – 24 765, წამყვანი – 496, მენტორი – 49. განათლების სამინისტროს ინფორმაციით 2019 წლის შემოდგომაზე სისტემას ეყოლება 33 000 პედაგოგი, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს.

განათლების რეფორმის ფარგლებში ყოველწლიურად მოემატებათ ხელფასები სტატუსის მქონე პედაგოგებს, რაც საბოლოოდ 2022 წლისთვის ასეთ სახეს მიიღებს:

- **უფროსი მასწავლებელი – 1700 ლარი**
- **წამყვანი მასწავლებელი – 2135 ლარი**
- **მენტორი მასწავლებელი – 2445 ლარი**

უკვე ცნობილია, რომ 2019 წელს განხორციელებული შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, **2022 წლისთვის საქართველოს ბიუჯეტის მეოთხედი განათლების სფეროზე დაიხარჯება, როგორც პრიორიტეტულ მიმართულებაზე.**

კიდევ ერთი ცვლილება რეფორმის ფარგლებში – საპენსიო ასაკს მიღწეული **მასწავლებლები, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, ორი წლის ხელფასის ჯამურ ოდენობას მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისშივე მიიღებენ.** როგორც სამინისტროდან „რადიო თავისუფლებას“ უთხრეს, ასეთი სულ 6 000-მდე პედაგოგი დარეგისტრირდა.

ამჟამად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე 6 825 ვაკანსიაა გამოცხადებული სხვადასხვა დისციპლინის პედაგოგებისა და სკოლის თანამშრომლების თანამდებობებზე.

არის თუ არა ხელფასების გაზრდა განათლების რეფორმის ნაწილი?

„რადიო თავისუფლება“ პედაგოგების ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელს შალვა ტაბატაძეს ესაუბრა, რომელიც პედაგოგთა ხელფასის ზრდაში ხედავს როგორც პოზიტიურ ტენდენციებს, ასევე საუბრობს განათლების დაბალ ხარისხზე, რომელიც შესაძლოა ამ ზრდამ ვერც კი მოაგვაროს.

დადებითი შედეგები:

- **ხელფასების ზრდის გადაწყვეტილება მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფო ზრუნავს განათლებაზე.**
- **მასწავლებლებს გაუჩნდებათ დამატებითი შემოსავალი.**
- **თუ იქნება მზარდი და მაღალი ანაზღაურება, უფრო ბევრი სტუდენტი და აბიტურიენტი დაინტერესდება ამ პროფესიით, რადგან დაბალანაზღაურებად პროფესიაში ნაკლებად მოდიან კვალიფიციური კადრები.**

თუმცა შალვა ტაბატაძე ამბობს, რომ ეს ზრდა არ ეფუძნება განათლების რეფორმას.

„პრობლემა არის ის, რომ ჩვენ არ გვივარგა მასწავლებელთა შედეგების შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემა. არის ტენდენცია, რომ როცა მასწავლებელი არის წამყვანი ან უფროსი მასწავლებელი, მას აქვს პრესტიჟი საზოგადოებაში და ის ამ პრესტიჟს კარგად იყენებს კერძო აბიტურიენტების მისაზიდად. ეს სტატუსი მისთვის სასარგებლოა კერძო თანხის გამოსამუშავებლად, თუმცა ხშირად ის ნაკლებად ინტერესდება სასკოლო პროცესებით და გაკვეთილების ეფექტურად წარმართვით. შესაბამისად, ამ სტატუსის მქონე მასწავლებელს შეიძლება უფრო ცუდი გაკვეთილები ჰქონდეს, ვიდრე სტატუსის არმქონე მასწავლებელს.

ჩვენ ვერ ვაფასებთ მასწავლებლებს ყოველდღიურობაში და მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილებით და მიღებული შედეგებით, არამედ ვაფასებთ გამოცდით და ხელოვნურად ჩატარებული ერთი ან ორი გაკვეთილით“, – ამბობს **შალვა ტაბატაძე.**

ახალი სასწავლო წელი 16 სექტემბერს იწყება. სწორედ ამ სეზონიდან დაიწყება ეტაპობრივი ცვლილებები პედაგოგებისთვის.

სოფო დათიშვილი

საშემოდგომო-საგაზაფხულო ნათესი ფართობები 14 ათასი ჰექტრით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, საშემოდგომო-საგაზაფხულო ნათესი ფართობები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14 ათასი ჰექტრით შემცირდა. დღეს გამოქვეყნებული მონაცემებით, ამ პერიოდში სხვადასხვა კულტურა 193,6 ჰექტარზე დაითესა და ეს არის ყველაზე მცირე მონაცემი წინა წლებთან შედარებით.

ამასთან ერთად, 2 ათასი ჰექტრით შემცირდა ხორბლისა და ქერის ნათესები (53 ათასი ჰექტარი), მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები 8 ათასი ჰექტრით (90,4 ათასი ჰექტარი), კარტოფილი და ბოსტნეულ-ბარჩეული კულტურები 2 ათასი ჰექტრით (32,2 ათასი ჰექტარი).

მთლიანობაში, 2016 წელს აღნიშნული კულტურები 240 ათას ჰექტარზე დაითესა, 2017 წელს – 220 ათას ჰექტარზე, 2018 წელს – 207 ათას ჰექტარზე, ხოლო 2019 წელს – 193 ათას ჰექტარზე. წაბლნარი კორომებში, კვლევის შედეგებზე დაყრნობით, ეროვნულ სატყეო სააგენტოს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა აქვს. კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

კომუნიკაციების კომისიამ შპს „ფორმულას“ მაუწყებლობის ავტორიზაცია მიანიჭა

კომუნიკაციების კომისიამ შპს „ფორმულას“ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია მიანიჭა და უწყებრივ რეესტრში კერძო საერთო მაუწყებლად გაატარა. „ფორმულა“ მაუწყებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 1 ოქტომბერს დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ კომპანიას მაუწყებლობის ავტორიზაციისთვის კანონით განსაზღვრული მთელი რიგი სავალდებულო ინფორმაცია სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი, შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ „ფორმულას“ განაცხადში მიღებული ხარვეზების გამოსწორება მოსთხოვა. დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, კომისიამ კომპანიას მაუწყებელობის ავტორიზაცია მიანიჭა.

ავთანდილ წერეთლის ადვოკატი შეფარდების გადაწყვეტილებას ასაჩივრებს

„თიბისი ბანკის“ საქმეზე ბრალდებული ბიზნესმენის, ავთანდილ წერეთლის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული 500 000-ლარიანი გირაო სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

როგორც კახა წერეთელმა განაცხადა, არ არსებობს ავთანდილ წერეთლისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლები და სააპელაციო საჩივარში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს. ადვოკატის ვარაუდით, სააპელაციო სასამართლოში საჩივარს მომავალი კვირის ბოლომდე განიხილავენ. შეკითხვაზე, თუკი ზემდგომმა ინსტანციამ ძალაში დატოვა 500 000-ლარიანი გირაო, როგორ აპირებს მის უზრუნველყოფას ბრალდებული, ადვოკატმა ზოგადად უპასუხა და აღნიშნა, რომ ჯერ დაელოდება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს აღკვეთის ღონისძიების სახით 500 000 ლარის ოდენობით გირაო 27 აგვისტოს შეუფარდა. ამასთან, მოსამართლემ გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა და ავთანდილ წერეთელს აუკრძალა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

პეკინის გამზირზე დაჭრილი მცირეწლოვანი კლინიკიდან გაწერეს

თბილისში, პეკინის გამზირზე დაჭრილი მცირეწლოვანი ჟვანიას კლინიკიდან გაწერეს. მშობლებმა ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

ექიმის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისივე ინფორმაციით, ოპერაცია ისე გაკეთდა, რომ პაციენტს პლასტიკური ჩარევა აღარ დასჭირდება. თბილისში, პეკინის გამზირზე მცირეწლოვანს ბასრი საგნით დაზიანებები 27 აგვისტოს მიაყენეს. ბავშვი მშობლებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელი ქალი იყო და შემთხვევის შემდეგ ადგილიდან მიიმალა, თუმცა, მოგვიანებით პოლიციამ დააკავა.

◎ მოულოდნელი რაკურსით

საქართველოს შესახებ ყველაფერი იციან!

ბრიტანული **საერთაშორისო ონლაინ-გამოცემა** www.e-architect.co.uk **ელიავას სკვერის პროექტზე სტატიას აქვეყნებს, სადაც ვრცლად არის აღწერილი პროექტის დეტალები და მისი მნიშვნელობა.**

ეს ონლაინ-გამოცემა 2019 წლის 1 მარტს დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო მედია-პლატფორმად დიზაინის და არქიტექტურის სფეროში. პირველად სწორედ ამ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მსოფლიოში ცნობილი და განხორციელებული არაერთი პროექტი, მათ შორის, მაგალითად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის — ნოტრდამის აღდგენის პროექტები.

„e-architect მსოფლიოში ერთ — ერთი უდიდესი არქიტექტული ვებ-პლატფორმაა, ყველაზე მეტი ვიზიტორით და დაახლოებით 22 000 გვერდით.

როგორც სტატიაშია ვკითხულობთ, განახლებული ელიავას სკვერი გულისხმობს ახალი, საინტერესო და შემეცნებითი არეალის მოწყობას საქართველოს დედაქალაქში. პროექტი საქართველოს — როგორც აბრეშუმის გზის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურანტის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და მსუბუქი კონსტრუქციებისა და ლაზერ-შოუების მეშვეობით აცოცხლებს ამ გზის ისტორიას.

ამონარიდი სტატიიდან: **„საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. საქართველოს აქვს უნიკალური რესურსები, მდიდარია ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალით, მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით, მინერალური და სუფთა წყლებით და ტურისტული სანახაობებით. პორტებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტრანზიტებისთვის, ბათუმის პორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობით.**

ბათუმის პორტი უკავშირდება მსოფლიოს ყველა საზღვაო ქვეყანას, რკინიგზითა და მაგისტრალებით იგი უკავშირდება რუსეთსა და თურქეთს, აგრეთვე ცენტრალური აზიის ქვეყნებს. ბათუმის პორტი აგრეთვე არის, ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობის გადამუშავების მთავარი ლოკაცია.“

სტატიის ავტორის თქმით, საქართველო მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს თანამედროვე ეკონომიკურ სფეროში. სიმულაციური ხიდი პარკში — აბრეშუმის გზის ფრაგმენტი, რომელიც ხაზს უსვამს მის ისტორიულ მნიშვნელობას ქვეყნისთვის. აბრეშუმის გზა მოიცავდა სხვადასხვა რეგიონს, მათ შორის საქართველოს მეზობელ ქვეყნებს თურქეთსა და საბერძნეთს.

„ხიდზე მოცემულია იმ ქვეყნების სხვადასხვა სიმბოლოები, რომლებზეც ჩვეულებრივ გაივლის აბრეშუმის გზა. თითოეული სიმბოლო დამზადებულია მავთულის თოკზე ჩამოკიდებული რკინის ბადეებისგან. ღამით ეს განათებული მოდელები აღიქმება როგორც აბრეშუმის გზის ქვეყნების სიმბოლოები. განათებული ჩამოკიდებული მოდელები შეესაბამება აბრეშუმის გზის რუკას, თითოეული სიმბოლო წარმოადგენს კონკრეტულ ქვეყანას, რომელიც ასახავს თავის ადგილს ისტორიულ გზაზე. ამ სიმბოლოებში შედის თურქეთის აია სოფია, საბერძნეთის პართენონი, არგონავტები და ჯვრის მონასტერი, როგორც ქრისტიანობისა და ქვეყნის ისტორიის სიმბოლო. მიგვაჩნია, რომ ეს იდეა ქმნის საინტერესო სივრცეს, როგორც ისტორიულ, ისე ტურისტულ დონეზე.“

სტატიაში ხაზგასმულია ასევე აბრეშუმის გზის მნიშვნელობა: აბრეშუმის დიდი გზა არის ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზა, რომელიც აკავშირებს ჩინეთს ხმელთაშუა და შავ ზღვებთან. ეს გზა გამოიყენებოდა ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან. ჩინეთი აბრეშუმის ექსპორტირებას ძირითადად ახდენდა რომში, ბიზანტიაში, შუა აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურის ქვეყნებში. დიდი აბრეშუმის გზამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას. ძვ. წ. 139-126 წლებში გაიხსნა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო, მარშრუტი, რომელიც აკავშირებდა ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან. მე-19-ე საუკუნის გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხტოფენმა ეს გზა მონათლა „აბრეშუმის გზად“. ეს გზა ისტორიულად არსებული სახმელეთო, საზღვაო და მდინარეების საერთაშორისო სავაჭრო გზების ნაწილი იყო. აბრეშუმის ქსოვილები, ხალიჩები და ა.შ. სავაჭრო გზებით ამიერკავკასიასა და საქართველოში ბიზანტიიდან და ირანიდან შემოდიოდა.

რაც შეეხება თავად პროექტს, სტატიაში წერია:

„ჩვენ გავაცოცხლეთ ეს ფრაგმენტები და შევქმენით სივრცე იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სახლებით, რომლის შუაშიც გავლებულია აბრეშუმის გზის ხიდი. ორივე მხრიდან იქნება კვების ობიექტები. ძირითადად სივრცე განკუთვნილია კაფეებისთვის და ქართული სუვენირების მაღაზიებისთვის, სადაც თვალსაჩინო იქნება ძველი ქართული ტრადიციები და ნივთები. ასევე იქნება ღია კაფეები, შადრევნები და ქოლგები, როგორც განათების ელემენტები. ტერიტორიაზე იქნება კაცის ქანდაკება, რომელიც ჭადრაკს თამაშობს, მის მოპირდაპირედ მდებარე სკამი კი ცარიელია, რომელზეც დაჯდომა და ფოტოს გადაღებისთვის ჭადრაკის თამაშის იმიტაცია ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

იქნება ორკესტრი — სკამებითა და ინსტრუმენტებით, მაგრამ მუსიკოსების გარეშე. თითოეული სკამის გვერდით დამონტაჟებულია სენსორული მოწყობილობები, რომლებსაც სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის იმიტირება შეუძლია და რომელიც ავტომატურად იწყებს დაკვრას, როდესაც ადამიანი სკამზე ჯდება. რამდენიმე სხვადასხვა სკამზე ერთდროულად დაჯდომის შედეგად შესაბამისი ინსტრუმენტი ავტომატურად იწყებს დაკვრას. შესრულებული იქნება ცნობილი ნაწარმოებები, მუსიკალური თემები კი პროგრამულად შეიცვლება.

მწვანე სივრცეები, რომლებიც გარშემორტყმულია ბილიკით, როგორც ძველი თბილისის რუკაზეა გამოსახული, გამოირჩევა სხვადასხვა სახეობის ხეებით, დეკორატიული მცენარეებითა და გასართობი ადგილებით. ისინი მოიცავს იაპონურ ბაღს, წიწვოვან ზონას და კუთხეს დეკორატიული ხეებისთვის, სადაც ასევე დამონტაჟებულია ლითონის სკამები, რომლებიც მიმოფანტული ფოთლებისა და ხის ტოტების იმიტაციას ახდენს. პარკი განათებულია ქართული ანბანით, რაც უფრო მეტ ხიბლს სძენს პარკს და ტურისტებისთვის უფრო მეტად მიმზიდველია. მოედნის ყველა კუთხე განსხვავებული და საინტერესოა.

მოედანს ასევე აქვს ღია ცის ქვეშ ამფითეატრი სხვადასხვა ღონისძიებისთვის. ღია კაფეების გასწვრივ განთავსდება წყლის სარკე, რომელსაც მინის ზედაპირი აქვს და ბავშვთა ზონა 3 მეტრის სიმაღლის წიგნით, რომელიც ბავშვებისთვის ავტომატურ რეჟიმში წაიკითხავს ზღაპრებს და აჩვენებს ილუსტრაციებს“.

COMMERSANT.GE

ნიონოქსის საიდუმლო: რას მალავს კრემლი?

ნორვეგიის **ინსტიტუტ** NORSAR**-ის მკვლევარები ვარაუდობენ,, რომ რუსეთის სოფელ ნიონოქსის მახლობლად აგვისტოს დასაწყისში მოხდა არა ერთი, არამედ ორი აფეთქება.**

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებას ეს უთხრა ინსტიტუტის დირქტორის მოვალეობის შემსრულებელმა ანი ლიკემ.

ინსტიტუტის სადამკვირვებლო სადგურებმა ახალი სეისმური მონაცემები გადასცეს 8 აგვისტოს დილის, დაახლოებით 9 საათზე არხანგელსკის დროით. ამ მონაცემების თანახმად, აფეთქება მოხდა დედამიწის ზედაპირის მახლობლად — ხმელეთზე ან წყალზე.

დაახლოებით ორ საათში, დილის 11 საათისთვის, სხვა სენსორმა, რომელიც ინფრაბგერეების დაჭერითაა დაკავებული, შენიშნა სხვა აკუსტიკური მოვლენა.



რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა 26 აგვისტოს განაცხადა, რომ ნიონოქსის ავარიის გამო დაბინძურების საფრთხის შესახებ არ მიუღიათ არავითარი შეტყობინება, მათ შორის არც სხვა სახელმწიფოების რადიაციის საზომი სადგურებიდან.

რატომ არის ოფიციალური ინფორმაცია მწირი?

„გრინპისის“ რუსულ განყოფილებაში მიიჩნევენ, რომ გამოქვეყნებული ცნობები ნიონოქსეში 8 აგვისტოს მომხდარი აფეთქების შესახებ არასაკმარისია. „გრინპისის“ ენერგეტიკული პროგრამების ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელმა რაშიდ ალიმოვმა, „ნასტოიაშჩეევრემიას“ უამბო, თუ რა სახის საფრთხეზე შეიძლება მიდიოდეს საუბარი და რატომ ვერ ახერხებენ სხვადასხვა ექსპერტები რადიაციის დამოუკიდებლად გაზომვას.

რაშიდ ალიმოვი: „სინამდვილეში მთავარი საფრთხე გამოსხივების შემთხვევაში უკავშირდება ონკოლოგიური დაავადებების რისკის ზრდას... „როსატომმა“, რა თქმა უნდა, იცის, თუ რა იქნა ჰაერში გატყორცნილი. უფრო რთულია რადიოაქტიური ნუკლიდების ვარაუდით ძებნა, ვიდრე მაშინ, როდესაც ზუსტად არის ცნობილი, თუ რა გამოიფრქვა. მეორე მხრივ, „როსგიდრომეტი“ — ეს არის სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში რადიაციულ მონიტორინგზე. ამიტომ კითხვებს, პირველ რიგში, მათ უნდა გასცენ პასუხი. ასევე „როსპოტრებნადზორმა“, რომელსაც შეუძლია და ასეთ შემთხვევებში უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა რადიონუკლიდების კვების ჯაჭვში მოხვედრის საფრთხე. კანონის თანახმად, სახელმწიფო ჩვენთან პასუხისმგებელია რისკების თაობაზე ხალხის ინფორმირებაზე. ჩვენი შეფასებით, ასეთი ინფორმირება არ მომხდარა შესაბამის დონეზე. დარწმუნებული ვარ, არიან ექსპერტები, რომლებმაც სინჯები აიღეს. შესაძლოა, მომავალში ჩვენ რაიმე შევიტყოთ“.

გამოიფრქვა თუ არა იზოტოპი?

სოფელ ნიონოქსასთან, სევეროდვინსკიდან 40 კილომეტრის მოშორებით თეთრ ზღავში მდებარე საზღვაო-საცდელ პოლიგონზე 8 აგვისტოს მოხდა აფეთქება, რის შედეგადაც სახელმწიფო კომპანია „როსატომის“ 5 თანამშრომელი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე მძიმედ დაშავდა.

„როსატომისა“ და თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, ინციდენტი მოხდა „რაკეტის ბირთვული იზოტოპის ენერგიის წყაროზე მომუშავე ძრავის საცდელი გაშვებისას“.

მაგრამ დღემდე ცნობილი არ არის, ზუსტად რა აფეთქდა: რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ამ ყველაფერს საიდუმლოდ ინახავს.

მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნდამენტური მედიცინის ფაკულტეტის სხივური დიაგნოსტიკისა და თერაპიის კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი ვალენტინ სინიცინი არ ფიქრობს, რომ ასეთი გაიდუმლოება იზოტოპების გამოფრქვევას უკავშირდებოდეს.

ვალენტინ სინიცინი: „რაც მოვისმინე და წავიკითხე, იმის მიხედვით, ვფიქრობ, რომ არ არსებობს სარწმუნო ცნობები იზოტოპების გამოფრქვევის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს სხვადასხვა სახის გამოსხივება. შესაძლოა, ეს ყოფილიყო გამა-გამოსხივება, რომელიც ბევრად სუსტია და მისი ზემოქმედება ორგანიზმზე არ არის ისეთი ძლიერი. ამიტომ მე მაინც მიმაჩნია, რომ, რა თქმა უნდა, ტრაგედია მოხდა, ადამიანები დაიღუპნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის მაინც აფეთქების შედეგი“.

მაიკლ ეკელი

◎ ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐ

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ გაზეთი „ბროწეულის ოყნა“, სადაც ბახუტა სექსბიზნესთან ინტეგრირების საკითხებს კურირებს, უსახსრობის გამო კარგა ხანია მცირე სახელფასო ანაზღაურებაზე გადავიდა, მაგრამ თავად ბახუტამ ჭამა-ყლაპვისა და ღვინო-არყის ყლურწვის რიტმს ვერა და ვერ უღალატა. იმ დღესაც, როცა ამ ამბავს შევესწარი, ბახუტა რაღაც საგაზეთო მასალას ჩაჰკირკიტებდა და ოთახში საქმიანი კაცის იერით მობოდიალე ვანიკოს დილის დავალებას აძლევდა:

— აბა ჩქარა, ვიდრე უფროსობა გამოჩენილა, გავარდი კიკოლას მაღაზიასასაუზმეში, ბებოს ლავაში, ჯამით ბათუმურა ლობიო და წითელი კომბოსტოს მწნილი მოარბენინე.

— ლობიო ჯერ მოხარშული არ იქნება, მწნილი კიდე, როგორც ვიცი, გუშინვე გაუთავდა, — ამოღერღა მთქნარებით ვანიკომ.

— ჰო, აბა, გაწყვიტე ყველაფერი, — იწყინა ბახუტამ, — ფენოვანი მაინც არ იქნება?

— ფენოვანი, ჩემო ძამია, უკვე 2 ლარი გახდა. ესეც არ იყოს, უკვე ათჯერ გამაფრთხილა, ნისიად ვეღარაფერს მოგცემო.

— ეგრე ჰო, იქამდე მიიყვანე საქმე, რომ ნისიადაც აღარ იძლევიან? — შეუღრინა უფროსმა კოლეგამ, — ხო გაფრთხილებდი, საკუთარ რეიტინგს გაუფრთხილდი-მეთქი.

— ჩემი რეიტინგი რა შუაშია, — შებედა ვანიკომ, — მაგედან და სხვა მაღაზიებიდან ყველაფერს ნისიად ვეზიდებოდი და აღარ მენდობიან.

— თუ აქამდე გენდობოდნენ, ახლა რა მოხდა, ძმობილო? — დაუშაქრდა უფროსი.

— ის მოხდა, რომ ლარის კურსი დავარდა და ყველაფერი ინფლაციამ შეჭამა. ერთი თვის წინათ მირთმეულისას, ჩემო კარგო, დღეს რომ გადაიხდი, იცი ზარალი სად ურტყამს?



— კარგი, ცარიელა არაყი მაინც გამოართვი, — დაიხია ბახუტამ.

— მარტო არაყს არ იძლევიან.

— რატო, ეგეც გაინფლაციურდა?

— არა, მაგრამ არაყს კლიენტთა მადის სტიმულატორად ვიყენებთო, ეგ რომ არ იყოს, კერძების ნახევარიც არ გაგვეყიდებოდაო.

— ვანიკო, ერთი ეგ მითხარი, ეს ინფლაციაა თუ რაღაც ჩემი ფეხები, საიდან აიკიდე?

— ავიკიდე კი არა და, სულ ვეხვეწებოდი, ბახუტა უფროსთან გამომყევი, შენი გაცნობა უნდა-მეთქი, მაგრამ სასტიკ უარზე იდგა. რა აკიდება უნდა, შე კაცო, შეხვალ თუ არა მაღაზიაში, კაფე-რესტორანსა თუ ბაზარში, უმალ აგედევნება და მანამდე არ მოგცილდება, ვიდრე უკანასკნელ გროშს არ დაგცინცლავს.

— მაგას მე ვუტირებ ყოფას, — დაიქადნა ბახუტამ, — თუ აქ მასეთი ფასი აქვს, სულაც ერთიანად მოვხვეტავ და მეზობელ თურქეთში გავიტან საექსპორტოდ. ესა თქვა და მეორე დღეს, ინათა თუ არა, დეზერტირების მოფურტკნულ ბაზარს მიადგა.

— მობრძანდით, ბატონო, რას ინებებთ? — შეიპატიჟეს აქეთ-იქიდან მოვაჭრეებმა.

— ინფლაციას დავეძებ, ხომ არ გექნებათ?

— მაგის მეტი რა გვაქვს, ჩემო ბატონო, — გაამხნევა მუშტარი ულვაშა გამყიდველმა, — ბაზარი ყელამდე სავსეა ინფლაციით, ივაჭრე რამდენიც გაგიხარდება.

— აგაშენა ღმერთმა, — მოილხინა ბახუტამ, — მოიტა, რაცა გაქვს, სულ ერთიანად ავიღებ.

— არა, მასე ვერ მოგყიდი, — იუარა ულვაშამ.

— რატო, კაცო, აკი ბევრიაო?

— ჰო, მაგრამ, ცალკე ინფლაცია არ იყიდება.

— აბა, როგორ ვიყიდო?

— მხოლოდ პროდუქტებთან ერთად. რასაც ხელს დაადებ, ყველას თავის წილი ინფლაცია მოჰყვება.

— არა, მე წილი კი არა, საკუთრივ ინფლაცია მინდა, — გაჯიუტდა ბახუტა.

— ვაა, ეს ვინა ყოფილა, — განერვიულდა ულვაშა, — ხო გითხარი, ცალკე ინფლაცია არ იყიდება-მეთქი.

— რატომ არა, ვინ აგიკრძალათ?

— ვინა და მთავრობამ, თუ ვინმემ პროდუქტი უინფლაციოდ გაყიდა, დავაჯარიმებთო.

— ვითომ ცალკე რომ გაყიდოთ, სახელმწიფო დაზარალდება?

— პირიქით, ამით სახელმწიფო ბიუჯეტი მოიგებს კიდეც, მაგრამ ჩვენ თვითონ დავზარალდებით.

— თქვენ რატომ?

— ახლა პროდუქტების და ინფლაციის გადასახადს ერთად ვიხდით, მაშინ კი ცალ-ცალკე გვიანგარიშებენ. არ ვიცი, ამ მთავრობისა ვერაფერი გავიგე, საერთოდაც, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, — მოუბოდიშა ულვაშამ, — მაგრამ ამდენი ლაპარაკის შემდეგ, ნუთუ ბოლოკს მაინც არ იყიდი?



ბახუტა ამ კითხვამ ინფლაციაზე მეტად დააბნია. ის უხერხულად შეიშმუშნა, უნდოდა ეთქვა, საყიდლებზე ხვალ ვანიკოს გამოვგზავნიო, მაგრამ გაახსენდა, რომ ვანიკოს მასსავით რეიტინგი დაკარგული ჰქონდა და ბაზრიდან უჩუმრად გაიძურწა.

ᲝᲗᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲐᲧᲣᲩᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲛᲔᲢᲜᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ!

ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ **არცერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული ოპერაცია არ კეთდება ნარკოზის გარეშე, თუმცა უწინ ასე როდი იყო.**

უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანები ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდნენ, რისთვისაც ხშირად ერთობ სახიფათო ზომებს მიმართავდნენ. მაგალითად, ძველ საბერძნეთში გამაყუჩებლად მანდრაგორის ფესვს იყენებდნენ. ამ შხამიან მცენარეს ჰალუცინაციების გამოწვევა და მძიმე მოწამვლა შეუძლია, რომელსაც ხშირად სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

ძველ ეგვიპტეში გამაყუჩებლად **ციკუტას** იყენებდნენ. სამწუხაროდ ამ „ანესთეზიის“ შემდეგ ოპერაციამდე ბევრი პაციენტი იღუპებოდა. სხვებთან შედარებით გაცილებით ეფექტიანი იყო გაყუჩების **ძველ ინდიელთა** მეთოდი: ექიმბაშები **კოკას** „ჯადოსნურ“ ფოთლებს ღეჭავდნენ და დაჭრილ მეომრებს აფურთხებდნენ. კოკაინით გაჟღენთილ ნერწყვს მათთვის შვება მოჰქონდა.

ტკივილის გასაყუჩებლად ნარკოტიკულ ნივთიერებებს **ჩინელი** ექიმბაშებიც მიმართავდნენ და იმის მიუხედავად, რომ ცისქვეშეთში კოკა არ ხარობს, სამაგიეროდ **კანაფი** და **ოპიუმის ყაჩაჩო,** იცოცხლეთ, ბევრი ჰქონდათ...

ტკივილგაყუჩების ხერხები ჰუმანურობით არც **შუასაუკუნოვან ევროპაში** გამოირჩეოდა. მაგალითად, ოპერაციამდე პაციენტს ზოგჯერ **ნაჭერმოხვეულ მძიმე ხის ჩაქუჩს უთავაზებდნენ**, რათა გრძნობა დაეკარგა. ეს მეთოდი ანესთეზიოლოგისგან დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვდა, რათა ავადმყოფი სიცოცხლეს არ გამოსალმებოდა. ასევე პოპულარული იყო **სისხლის გამოშვება**. ავადმყოფს ვენას უხსნიდნენ და ელოდნენ, თუ როდის დაღვრიდა იმდენ სისხლს, რომ გრძნობა დაეკარგა. ამის გამო ეს ხერხი უაღრესად სახიფათო იყო და დროთა განმავლობაში მასზე უარი თქვეს, ხოლო სნეულს ტკივილის შოკისგან და სიკვდილისგან მხოლოდ **ქირურგის სისწრაფე** შველოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ დიდი დასტაქარი ნიკოლაი პიროგოვი ფეხის მოკვეთას სულ ოთხ წუთს, სარძევე ჯირკვლის მოშორებას კი სულ წუთნახევარს ანდომებდა!

გაყუჩების მეთოდები თანდათანობით იხვეწებოდა, გაჩნდა **აზოტის ზეჟანგი**, რომელსაც კიდევ „გამამხიარულებელ გაზს“ უწოდებდნენ. თუმცა თავდაპირველად ამ ნაერთს ცირკის მსახიობები იყენებდნენ. 1844 წელს ფოკუსების ოსტატმა **გარდნერ კოლტონმა** შაპიტოს სცენაზე მოხალისე მოიხმო და გამამხიარულებელი გაზი ჩაასუნთქა. კაცს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ სცენიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა, მაგრამ მაყურებლებმა შეამჩნიეს, რომ დაზარალებული კაცი ტკივილს ვერ გრძნობდა, თითქოს ანესთეზია ჰქონდა გაკეთებული. მათ შორის სტომატოლოგი **ჰორას უელსიც** იყო, რომელმაც ეს თვისება უმალ ჯეროვნად შეაფასა და გამოგონება გამოისყიდა.

1879 წელს ექიმმა **ვასილ ანრეპმა** ნერვულ დაბოლოებებზე კოკაინის გამაყუჩებელი ზემოქმედების შესახებ სტატია გამოაქვეყნა, რასაც საკუთარ თავზე ჩატარებული ცდების შედეგებით ასაბუთებდა. პაციენტებზე ამის გამოცდა კი პირველმა ოფთალმოლოგმა **კარლ კოლერმა** გაბედა და დიდ წარმატებასაც მიაღწია: კოკაინის ტრიუმფი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა შემდეგ კი, თანამდევი მოქმედებების გამო, მისი გამოყენება აკრძალეს.

და მბოლოდ მე-20 საუკუნეში ექიმებმა შეძლეს კოკაინის უსაფრთხო ალტერნატივების — **ლიდოკაინის, ნოვოკაინის,** ასევე საერთო და ადგილობრივი ანესთეზიების სხვა უსაფრთხო პრეპარატების შემუშავება.

მოამზადა
ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲛ

ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲡᲐᲧᲣᲠᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ **ჩანს, კონტრაცეფციის, ანუ ჩასახვის საწინააღმდეგო ახალი საშუალება — საყურე, ერთგვარ „ფარმაცევტულ ჯადოსნობად“ უნდა მივიჩნიოთ.**

მედიკოსთა განცხადებით, კონტრაცეფციის გარეგანი საშუალებები ეფექტიანობით ტრადიციულ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს არაფრით ჩამოუვარდება. ამასთან, აბებისგან განსხვავებით, ისინი ორგანიზმზე მომწამლავად არ ზემოქმედებენ.

საყურის კიდევ ერთი უდავო უპირატესობა კი ისაა, რომ საჭირო არ არის მათ შესახებ ქალბატონებს მუდმივად ახსოვდეთ. საქმე ისაა, რომ აბების არადროული მიღება არასასურველი ფეხმძიმობის მთავარი მიზეზია.

ამჟამად საყურე გამოცდას გადის და თუკი წარმატებით დასრულდა, მაშინ აფთიაქებში სულ მალე გაიყიდება.

ამასთან, მანდილოსნებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ, რომ კონტრაცეფციის ოპტიმალურ მეთოდს მაინც ექიმი არჩევს ჯანმრთელობის, ორგანიზმის თავისებურებებისა და ა.შ. შესაბამისად.

◎ წინ, საქართველოვ!

მაისურაძის „ბრინჯაო“

21 წლის ქართველი ძიუდოისტი ლუკა მაისურაძე (81 კგ.) იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში ლუკა 2018 წლის მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულს, ირანელ საეიდ მოლაეის გაეჯიბრა და ვაზარიზე 2-ჯერ დააგდო.

მაისურაძემ საწყის რაუნდში სამოელი პენიამინა პერსივალი შებოჭა, თურქი ვედათ აილბაირაქი ვაზარიზე 2-ჯერ დასცა, მონღოლ უუგანბაატარ ოტგონბაატარს ვაზარი დამატებით დროში აუღო, ბელგიელ სამი ჩაუჩის იპონით აჯობა, მეოთხედფინალში კი ეგვიპტელ მოჰამედ აბდელაალისთან იპონით წააგო.

ამგვარად, ქართველი ძიუდოისტი რეპეშაჟში გადაერთო, სადაც უზბეკ შაროფიდინ ბოლტაბოევთან ვაზარით ჩამორჩა, თუმცა, ის მალევე გაქვითა და დამატებით დროში აზიელი იპონზე დასცა. ამის შემდეგ კი მოლაეისთან ხსენებული შერკინება გახლდათ...

აღნიშნულ წონაში მე-2 ბრინჯაოს მედალი კანადელმა ანტუან ვალუა-ფორტიემ აიღო

(ხსენებულ აბდელაალის აჯობა), ხოლო ფინალში ებრაელმა საგი მუკიმ ბელგიელი მატიას კასე იპონით დაჯაბნა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მატება

ამიერიდან - საქართველოს სახელით!

რუსი ტანმოვარჯიშე მარია ხარენკოვა მოქალაქეობას იცვლის და ამიერიდან საქართველოს სახელით იასპარეზებს. ამის შესახებ რუსული სახელმწიფო სააგენტო ტასსი ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით იუწყება.

20 წლის ხარენკოვამ ეს უფლება ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღო.

იგი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია გუნდურ ჩათვლაში, ასევე — ევროპის ჩემპიონი (2014 წ).

წლევანდელი მუნდიალი 4-13 ოქტომბერს გერმანიაში გაიმართება.

კოგა კოგახიძე



◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ბოლო წუთების მადლი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა 2019 წლის მსოფლიოს თასისთვის მზადების ციკლში პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. „ბორჯღალოსნები“ ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სამხრეთაფრიკულ „საუზერნ კინგზს“ დაუპირისპირდნენ და პრო 14-ის მონაწილე გუნდი 24:20 დაამარცხეს. ყველაფერი დასკვნით 15 წუთში გადაწყდა, როდესაც მასპინძლებმა 19 უპასუხო ქულა მიითვალეს.

ვინაიდან თამაში მოსამზადებელი ხასიათის გახლდათ, მხარეთა შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ გუნდების განაცხადში 26-26 მორაგბე იქნებოდა. ამან მწვრთნელებს საქმეში მეტი მოთამაშის გამოცდის საშუალება მისცა.

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, აფრიკელებთან ტესტისას საქმეში ბევრი ახალგაზრდა ვიხილეთ. მაგალითად, პირველი ხაზი 19 წლის კვაჭმა ვანო კარკაძემ და 20 და 23 წლის ბურჯებმა — გურამ გოგიჩაშვილმა და გიორგი მელიქიძემ დააკომპლექტეს.

მეორე ხაზში ვიცე-კაპიტან გიორგი ნემსაძეს ლაშა ლომიძე შეუწყვილდა, ხოლო მესამე ხაზში კვლავაც ახალგაზრდა მორაგბეები ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე და ოთარ გიორგაძე ვიხილეთ.

„ბორჯღალოსანთა“ ღერძი ლაშა ხმალაძემ და გიორგი ბეგაძემ შეადგინეს, შუამარბებად გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე და ზურაბ ძნელაძე გამოჩნდნენ, ფულბექი სოსო მათიაშვილი იყო, გარემარბებად კი მირიან მოდებაძემ და გიორგი აფციაურმა დაიწყეს.

პირველი ტაიმი ქართველთათვის დანავსული გამოდგა. გარდა იმისა, რომ მეტოქეს 5:17 ჩამოვრჩით, გუნდს მოახლოებული მსოფლიო თასის წინ 2 საკვანძო მორაგბე დაუშავდა.

ტრავმის გამო მინდორი ჯერ გიორგი ცუცქირიძემ დატოვა, ხოლო შემდეგ — მერაბ შარიქაძემ. მათ ნაცვლად თამაშში გიორგი თხილაიშვილი (მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს) და თამაზ მჭედლიძე ჩაერთვნენ, დაშავებულთა მდგომარეობის შესახებ კი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

მე-2 ტაიმისთვის მილტონ ჰეიგმა საქმეში, ფაქტობრივად, მთელი მარქაფა ჩართო. მინდორზე გამოჩნდნენ გელა აფრასიძე, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, სანდრო თოდუა... აფრასიძემ თამაში საგრძნობლად ააჩქარა, თუმცა, პირველი შედეგიანი შეტევა ისევ „საუზერნ ქინგზის“ იყო. ოცდაორში დავჯარიმდით, რაც კატრაკილისმა არ გვაპატია და ანგარიში 5:20 გახდა.

ქართველები თამაშში გარდატეხის შეტანას ცდილობდნენ, თუმცა, არაფერი გამოდიოდათ. ორ შემთხვევაში ხმალაძემ ჯარიმიდან ბურთი აუტში ვერ გადაიტანა, ხელით თამაშისას კი ბევრი წუნი იყო. პერსპექტიული იერიშისას ბურთი ჯერ მჭედლიძეს გაუვარდა, ხოლო შემდეგ იმავე ხმალაძემ უმისამართო პასი გააკეთა.

„ბორჯღალოსანთა“ აქტიურობას შედეგი მაინც მოჰყვა. შერკინების შემდეგ მეტოქეს ბურთი ხუთმეტრიან ზონაში ავართვით და მრავალფაზიანი იერიშის შემდეგ ბურთი ლელოში გიორგი მელიქიძემ გადადო. მსაჯმა აღნიშნული თავდაპირველად ვერ დაინახა, თუმცა, ვიდეორეფერიმ ლელო დაადასტურა. გარდასახვა ამჯერადაც არაზუსტი იყო.

საქართველო კიდევ უფრო აქტიურად ათამაშდა. აფრიკელები ჩვენების შეჩერებას ჯარიმების ხარჯზელა ახერხებდნენ, რასაც კიდევ 1 ლელო მოჰყვა. დერეფნიდან მძლავრი მოლი ავაგორეთ, სტუმრებმა ის მხოლოდ წესების დარღვევით შეაჩერეს და არბიტრმა საჯარიმო ლელო ჩათვალა — 17:20.

და საოცარი დასასრული: „ბორჯღალოსნებმა“ მორიგი იერიში ხელდახელ თავისი 22-დან დაიწყეს, რამდენიმე ოფლოუდის მერე ცენტრამდე ამოვიდნენ, აფრიკელები ისევ დაჯარიმდნენ და ხმალაძემ ბოლოსდაბოლოს ბურთი აუტში ჩინებულად გადაიტანა.

მოლის შემდეგ სტუმრებმა თამაშის წესები ისევ დაარღვიეს, თუმცა, ჯარიმა აღარ დაგვჭირვებია. მარჯვენა ფლანგზე გადატანილი ბურთი შალვა სუთიაშვილმა ლელოში გადადო, მალაღურაძის გარდასახვა კი ზუსტი გახლდათ — 24:20.

დარჩენილ დროში აფრიკელებმა მაგრად შემოგვიტიეს და გადამწყვეტ ლელოსთან ახლოს იყვნენ, თუმცა, ქართველებმა თავი დაიცვეს და პირველი სამსოფლიოთასო გამოცდა გამარჯვებით დაასრულეს.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ შემოდგომის მთავარი ტესტები ჯერაც წინ ელით. ხვალ 20 საათზე „დინამო არენაზე“ შოტლანდიელებთან ჯახია დანიშნული და ეს პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც თბილისში პირველი დონის ნაკრები ითამაშებს. საქართველო და შოტლანდია განმეორებით მატჩს 6 სექტემბერს (22:30) ედინბურგის „მარიფილდზე“ ჩაატარებენ.

გიორგი შოთაძე



◎ ჩოგბურთი

ღირსება შეინარჩუნა

21 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა მარიამ ბოლქვაძემ აშშ-ს ღია პირველობის მე-2 წრეში მე-3 ნომრად განთესილ ჩეხ კაროლინა პლიშკოვასთან 1:6, 4:6 წააგო, თუმცა, ჩვენებურის მიმართ მხოლოდ საქებარი სიტყვები გვემეტება: მარიამმა ნიუ იორკში იმაზე მეტი მოახერხა, ვიდრე ველოდით.

შეგახსენებთ, რომ ბოლქვაძემ 3 საკვალიფიკაციო შეხვედრა მოიგო, ძირითადი ბადის სტარტზე კი მსოფლიოს 65-ე ჩოგანს, ამერიკელ ბერნარდა პერას 6:3, 5:7, 6:4 სძლია. არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე (წვიმის გამო სტადიონი გადახურული გახლდათ) ჩეხი ჩოგბურთელი აშკარა ფავორიტად მოიაზრებოდა და მან ბოლქვაძეს საათსა და 8 წუთში სძლია, თუმცა კი, განსაკუთრებით მე-2 სეტში, ქართველი გოგონა ღირსეულად გამოიყურებოდა.

მარიამს ეისი არ მოუწოდებია და 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა, რამაც ძალიან აზარალა. მან პირველ მოწოდებაზე ბურთების 62% (23 37-დან) მოიგო, ხოლო მეორეზე — 30% (6 20-დან), ამასთან, 11 ვინერსი და 27 უნებლიე შეცდომა მოუგროვდა. საქართველოს პირველმა ჩოგანმა უძლიერესი მოწოდების მქონე პლიშკოვას დაბრეიკება ერთხელ მოახერხა, თავად კი საკუთარი მოწოდება 4-ჯერ დათმო.

ცხადია, აშშ-ს ღია პირველობა ბოლქვაძეს აქტივში უნდა ჩავუთვალოთ. ის დიდი სლემის ტურნირის სტარტს რეიტინგის მოწინავე ორასეულს მიღმა შეხვდა, ფლეშინგ მედოუზე წარმატებული სვლის ხარჯზე კი 398 ქულა მოუგროვდა და ლაივ-კლასიფიკაციაში მისთვის სარეკორდო 152-ე ადგილამდე აღზევდა.

მანუჩარ გიორგაძე

უკვე მეშვიდედ ბათუმში

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი

პიანისტ ელისო ბოლქვაძის მიერ დაარსებული ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი პირველ სექტემბერს გაიხსნება.

ბათუმის ხელოვნების ცენტრში პრესკონფერენცია ფესტივალის დამაარსებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ მხარდამჭერებთან ერთად გამართა.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი საქართველოს სახელმწიფოს ხელშეწყობითა და საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით წელს მეშვიდედ გაიმართება.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელიც იუნესკო-ს (UNESCO) მაღალი პატრონაჟით ტარდება. ბათუმს ეწვევა ცნობილი ფრანგი მუსიკოსი, კომპოზიტორი, ფილოსოფიის დოქტორი და მუსიკალური სწავლების ინოვაციური მეთოდის შემქმნელი მიშელ სონი,

რომელიც ფესტივალის ფარგლებში შერჩეული ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის მასტერკლასებს გამართავს.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში 7 სექტემბერს, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გაიმართება წარმოშობით ქართველი ფრანგი მხატვრის **ანრი მაჭავარიანის** გამოფენა. ასევე 7 სექტემბერს ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება ცნობილი ქართველი მწერლის, **გურამ ოდიშარიას** პოეზიის საღამო და წიგნის პრეზენტაცია.

ფესტივალი ელისო ბოლქვაძის კონცერტით გაიხსნება. 8 სექტემბერს გაიმართება ელისო ბოლქვაძის გალა კონცერტი ღია ცის ქვეშ ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში.

9 სექტემბერს ჩოხატაურში, კულტურის სახლში გაიმართება ახალგაზრდა პიანისტების **ბარბარე თათარაძისა** და **ილია ლომთათიძის** კონცერტი.

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ბათუმს მსოფლიოს კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები გიტარისტი **კლაუდიო პიასტრა,** ფლეიტისტი **ლუიზა სელო,** პიანისტები **ალექსანდრე გაჯიევი, ლიდი სოლომონი, ალექსანდრა მასალევა** და **დავით ალადაშვილი, კლარნეტისტი კლაუდიო** მანსუტი, დირიჟორი **ჯანკარლო დი ლორენცო** ეწვევიან. ფესტივალის ორკესტრს მაესტრო **დავით მუქერია** უხელმძღვანელებს.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი 10 სექტემბერს ახალგაზრდა ვირტუოზების კონცერტით დასრულდება.

განცხადება

2019 წლის 30 სექტემბერს დღის 10 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევა;

2. სხვადასხვა.

მისამართი: თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. №29.

საარღრიცხვო თარიღად დადგენილია 30 აგვისტო.

სს „ცენტროლიტის“ სამეთვალყურეო საბჭო

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42

599 79-76-79;

568 82-09-84

დაკარგა თუ არა ავთენტურობა ბათუმის „რვაფეხამ“?

ბათუმის ერთ-ერთი სიმბოლო, კაფე „ფანტაზია“, აღდგენის შემდეგ 21 აგვისტოს საზეიმოდ გახსნეს ბათუმში სპეციალურად ჩამოსულმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და ბათუმის მერმა, აგრეთვე სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში შექმნილ არქიტექტურულ კონსტრუქციას, რომელსაც ზღვის ბინადრების გამოსახულება აქვს და მოზაიკითაა მოპირკეთებული, ბათუმელები „რვაფეხასა“ და „ურჩხულსაც“ უწოდებენ. საბჭოთა კავშირის დროს იგი ერთ-ერთი პოპულარული თავშეყრის ადგილი იყო ქალაქში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს უფუნქციოდ დარჩენილი კაფე „ფანტაზია“ საპირფარეშოდ იქცა, 2014 წელს კი ამ ადგილით იქვე მდებარე სასტუმრო „ჰილტონი“ დაინტერესდა და „რვაფეხას“ ნაცვლად ტერიტორიაზე აუზის გაკეთების სურვილი გამოთქვა. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება „რვაფეხას“ აღების შესახებ ბათუმელების აქტიური პროტესტის შემდეგ შეიცვალა, 2017 წელს კი მისი აღდგენა ფონდმა „ქართუმ“ ითავა.

კაფე „ფანტაზიის“ ოფიციალურ გახსნაზე ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანიც იმყოფებოდა.



„სრულად მოხდა კაფეს რეაბილიტაცია. სამუშაოების ჯამური ღირებულება 3 მილიონ ლარს აღემატება. მოხდა შენობის გამაგრება და მოხდა ახალი მოზაიკის დაგება. შენობა, რომელიც ძალიან უყვართ ბათუმელებს, ასოცირდება მათ ნოსტალგიურ გრძნობებთან“, - თქვა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

ბათუმელებისთვის ნოსტალგიური ადგილი მისი აღდგენის შემდეგაც დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით კი მათ ინტერესს, ვინც 2014 წელს კაფე „ფანტაზია“ დანგრევას გადაარჩინა. მაშინ ქუჩის საპროტესტო აქციებთან ერთად ბათუმელმა აქტივისტებმა ერთ-ერთი სოციალური კამპანია წამოიწყეს ფეისბუკში. ისინი კაფე „ფანტაზიასთან“ გადაღებული ძველი და ახალი ფოტოების გამოქვეყნებისკენ მოუწოდებდნენ მხარდამჭერებს.

აქციაში ათასობით ადამიანი ჩაერთო მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროტესტს გამოეხმაურნენ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებიც. სოციალურ ქსელში გამოიფინა სხვადასხვა წლებში „რვაფეხასთან“ გადაღებული შავ-თეთრი და ფერადი ფოტოები. ამ აქციას „დაიცავი „რვაფეხა“ ერქვა. ამავე სახელწოდებით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც საპროტესტო აქციებს ორგანიზებას უწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელები კაფე „ფანტაზიას“ ძეგლად მოიხსენიებენ, არქიტექტურულ ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ აქვს. მისთვის ამ სტატუსის მინიჭებას აქტივისტები რეკონსტრუქციის დაწყებამდე მოითხოვდნენ.

კაფე „ფანტაზია“ შენობა და, იმავდროულად, ფუნქციური ქანდაკებაა. მისი ავტორები არიან არქიტექტორი გიორგი ჩახავა და საქართველოს დამსახურებული მხატვარი ზურაბ კაპანაძე. შემოქმედებით ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე არქიტექტორი ზურა ჯალაღონია და ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი მხატვარი ნოდარ მალაზონია. პროექტზე მუშაობდა საგზაო ინჟინერი პაატა დობორჯგინიძე.

ხელოვნებათმცოდნეები აქვეყნებდნენ სტატიებს მის ღირებულებაზე. თვლიდნენ, რომ იგი უდავოდ იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს. მათ შორის იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ირინე გივიაშვილი. 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერდა კაფე „ფანტაზიის“ დასავლურ კულტურასთან კავშირზე:

„რვაფეხა“, მართალია, საბჭოთა ეპოქის ნამუშევარია, მაგრამ თავისი ბუნებით ანტისაბჭოური ხელოვნებაა. მეტიც, ეს ტიპიური ჰიპური ხელოვნების ნიმუშია, თავისი პოზიტიურობით, არააგრესიულობით, თავისუფლების მანიფესტაციითა და სიცოცხლის სიხალასის გადმოცემით. გარდა ამისა, არქიტექტორ გიორგი ჩახავას კონსტრუქცია იმ დროის პროგრესული მიღწევების ნიმუშია“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მომუშავე საზოგადოება „ბათომის“ წევრი შოთა გუჯაბიძე ამბობს, რომ „რვაფეხას“ რეაბილიტაციის პროცესში დარგის სპეციალისტებისა და მათ შორის იმ ადამიანების ჩართვას ცდილობდნენ, რომლებიც ჩახავას არქიტექტურული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ, თუმცა მათი მოთხოვნა არ შესრულდა:

„ძირითადი სული დაკარგული აქვს. ფერებში და ფორმებში და ტექნოლოგიებშიც არის ხარვეზები. ფაქტიურად, ახალი შენობაა, მაგრამ თუნდაც ამ სახით შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. მე არა მგონია, რომ ხელისუფლების შეგნებული ნაბიჯი იყო პირველადი სახის დაკნინება. უბრალოდ, ზერელე დამოკიდებულების ბრალი იყო“.

მხატვარ ზურაბ კაპანაძის მოზაიკითა და არქიტექტორ გიორგი ჩახავას პროექტით შექმნილი კაფე „ფანტაზიის“ გარდა, აჭარაში კიდევ ერთი ასეთი პავილიონი არსებობდა. გონიოში იდგა მსგავსი არქიტექტურული ნაგებობა — „ოთხფეხა“. შენობა საქართველო-თურქეთის საზღვრის გახსნის შემდეგ საბაჟო პუნქტის მოწყობისას დაანგრიეს, დღეს კი მისი ფოტოც არაა შემორჩენილი. ჩახავასა და კაპანაძის ავტორობით შექმნილი, განსხვავებული ფორმებისა და ფუნქციური დანიშნულების მქონე, პავილიონები აფხაზეთში დღემდე არსებობს. ბიჭვინთასა და გაგრაში რვა მცირე ზომის ავტოპავილიონია შემორჩენილი, მეცხრე კი განადგურებულია.

ეკა ლორთქიფანიძე

ზღვაზე 4-5-ბალიანი შტორმული ღელვაა მოსალოდნელი!

30 აგვისტოს დღის ბოლოდან 31 აგვისტოს დღის ბოლომდე საქართველოში მოსალოდნელია გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, წვიმა ელჭექით, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა, ქარის გაძლიერება, ზღვაზე 4-5 ბალიანი შტორმული ღელვა.

მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია საქართველოს პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

◎ წერილი რედაქციას

საფლავის ქვათა წარწერების შესახებ

თბილისზე ბევრი კარგი რამ წამიკითხავს და მსმენია, მაგრამ აქამდე არა და არ მომიხერხდა ჩამოსვლა. როგორც იქნა წლეულს ეს ძველისძველი სურვილი ამიხდა და მეგობრებთან ერთად საქართველოში ჩამოვედი. მოგზაურობა ძალიან საინტერესო იყო, შთაბეჭდილება უამრავია, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ აქ სხვა რამეზე მინდა ვთქვა. ჩვენს ჯგუფში იყო ერთი ქალბატონი — გამოჩენილი ქართველი მომღერლის **ზურაბ ანჯაფარიძის** თაყვანისმცემელი, რომელიც მას „ზურიკოთი“ მოიხსენიებდა. ახსოვდა მისი დიდებული გამოსვლები მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე 1959-1970 წლებში.

ბუნებრივად აღიძრა მისი საფლავის მონახულების სურვილი. როგორც გაირკვა, იგი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერშია დაკრძალული, რუსთაველის პროსპექტზე — ქართული საოპერო მუსიკის კორიფეთა — **ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის,** გამოჩენილი დირიჟორის **ოდისეი დიმიტრიადის,** სახელოვანი ბალერინის — **ვერა წიგნაძის** გვერდით.

საფლავთან თაიგულით მივედით, მაგრამ სამწუხაროდ, ერთხანს ვერ გავარკვიეთ ხუთი საფლავის ქვიდან, რომლის ქვეშ განისვენებს ზურაბი. საქმე ის არის, რომ ქვებზე წარწერები მხოლოდ ქართულ ენაზეა და ქართულის არმცოდნე კაცი ვერ გაარკვევს, რომელი წარწერა რომლისაა. იძულებული გავხდით გამვლელისთვის გვეთხოვა დახმარება.

თავს ნებას ვაძლევ ასეთი სურვილი გამოვთქვა — საქართველოს დედაქალაქის ცენტრში, თეატრის სკვერში, დაკრძალული არიან საქართველოს დიდი შვილები, რომელთა სახელებსაც კარგად იცნობენ თქვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. ამიტომ ვფიქრობ, სწორი იქნებოდა მათი საფლავის ქვებზე ქართულთან ერთად ინგლისურ ენაზეც იყოს წარწერები, რომელიც იოლად გასაგები იქნება თბილისის სტუმრებისთვის.

მადლიერი ვიქნები თუ ჩემს მოსაზრებას თბილისის მერის ხელმძღვანელობამდე მიიტანთ.

პატივისცემით

ბორის გროისმანი,
მუსიკოსი.
მოსკოვი-თბილისი,
2019 წლის აგვისტო.

წყლის ბიბლიოთეკა

აშშ-ში მდებარე 2 სასტუმროს The Gates Hotel-**სა და** @$° North Hotel-**ს უცნაური სერვისი დაემატა — საუბარია წყლის ბიბლიოთეკაზე.**

ამიერიდან ორივე სასტუმროს სტუმრებს კითხვა პირდაპირ აუზში შეეძლებათ. საუბარი არ არის აუზში პლანშეტიდან ან სხვა ნებისმიერი კომპიუტერული მოწყობილობიდან კითხვაზე, საუბარია წიგნზე, რომლის გადაფურცვლა და წაკითხვა წყალშია შესაძლებელი.

რეალურად წიგნი დაბეჭდილია წყალგამძლე მასალებით, რომელიც წყალში დიდი ხნით ყოფნის შემთხვევაშიც არ ზიანდება. ასეთ წიგნებზე წვენის, ყავის ან ჩაის დაღვრა საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგანაც გარანტირებულად იცი, რომ არ დაზიანდება.



სხვადასხვა წიგნი აუზში ტივტივებს და მკითხველს სასურველი წიგნის არჩევა და წყლის ქვეშ წაკითხვა თავისუფლად შეუძლია. წყლის ბიბლიოთეკა, გარდა თანამედროვე გამოცემებისა, კლასიკურ გამოცემებსაც მოიცავს. ბიბლიოთეკით სარგებლობა სასტუმროს სტუმრებს უფასოდ შეუძლიათ.

„ეშმაკი“ ძაღლი

ბანგკოკში ძაღლი გამვლელებს თავს დაუძლურებულად აჩვენებდა, რათა მისთვის საკვები მიეცათ.

ქუჩის ძაღლი, სახელად გაე გამვლელების წინაშე უკანა მარცხენა თათით კოჭლობას იწყებდა. როდესაც მას ადამიანები უახლოვდებოდნენ, ფეხს ასწორებდა და მათ გარშემო კუდის ქიცინით დარბოდა.

ძაღლს ბრინჯით და სხვა საკვებით უმასპინძლებოდნენ.

ბანგკოკის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ქალმა, რომელიც იმ ადგილთან ახლოს მუშაობდა, სადაც ძაღლი იმყოფებოდა, გაეს თათი შეუმოწმა და აღმოაჩინა, რომ მას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

ვიდეო, სადაც ძაღლის „ეშმაკობის“ კადრებია აღბეჭდილი, სოციალურ ქსელში გავრცელდა და მომხმარებლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

„ალბათ, წარსულ ცხოვრებაში ეს ძაღლი ადამიანი იყო“, — ნათქვამია ერთ-ერთ კომენტარში.

„დორიანმა“ პუერტო რიკოს დაარტყა

პუერტო რიკოს მთავარ კუნძულს, პირველი კატეგორიის ქარიშხალმა „დორიანის თვალმა“ დაარტყა.

შტორმს 80 წლის მსხვერპლი ჰყავს. პოლიციის განცხადებით, ხანდაზმულ კაცს კიბე დაეცა. ამ დროისთვის პუერტო რიკოში ყველა სკოლა დახურულია. 23000 ოჯახი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

„დორიანი“ ნაკლებად დამანგრეველი ქარიშხლების კატეგორიაში შედის. მიმდებარე ტერიტორიაზე ქარიშხალს ამერიკის შეერთებული შტატების კუნძულებისთვის, ვიკისა და კულეტრასთვის ზიანი არ მიუყენებია.

ამერიკის შეერთებული შტატების მეტეოროლოგიური სამსახურის განცხადებით, მომდევნო დღეებში ქარიშხალი „დორიანი“ ძალებს მოიკრებს, შემდეგ კი ფლორიდასა და ჯორჯიას შტატებს დაარტყამს.

იტალიაში ვულკანი ამოიფრქვა

იტალიაში **სტრომბოლის კუნძულზე ვულკანის ამოფრქვევამ განგაშური მტვრის მასის გამოტყორცნა გამოიწვია.**

იტალიური მედიის ინფორმაციით, ვულკანის ამოფრქვევის შედეგად არავინ დაშავებულა, სამხედრო თვითმფრინავებმა კი ლავის გადმოღვრით გაჩენილი ხანძრები ჩააქრეს.



სტრომბოლის კუნძულზე არსებული ვულკანი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია. კუნძულზე გამუდმებით ხდება მცირე ცვლილებები. წინა ამოფრქვევა ერთი თვის წინ იყო, რომელსაც ერთი მთამსვლელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9415; ევრო - 3.2671;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6063;
100 რუბლი - 4.4307; თურქული ლირა - 0.5048;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7302;
1000 სომხური დრამი - 6.1783.

ამინდი 28 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge